

მედიალანჩი სომელიების თანხლებით

A3



არგენტინა - კვლავ ერთი კაცის იმედად

A6



ქალბატონების საიდუმლო

A7

24 საათი

www.24saati.ge

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 20 დეკემბერი, 2005 წელი. №282 (1142)

ფასი 50 თეთრი

საქართველოს პრეზიდენტს და საქართველოს პირველ ლედის ვულოცავთ ვაჟის - ნიკოლოზის დაბადებას



## ამბები

### როცა მთავრობა ერთობა

პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან მიზნობრივად მხოლოდ 0,01 პროცენტი დაიხარჯა, ხოლო საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან - მხოლოდ 4 პროცენტი.

A3





ძვირფასო მკითხველებო!

"ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტი" (IWPR) კავკასიის პროგრამის ყოველკვირეული ინგლისურენოვან გამოცემას "კავკასიის საინფორმაციო სამსახური"(CRS) ქართულ ენაზე ბეჭდავს. ყოველი გამოშვება კავკასიის რეგიონების აქტუალური მოვლენებისა და პროცესებისადმი მიძღვნილ სტატიებს მოიცავს.

ჩვენს ინტერნეტ-გვერდზე www.iwpr.net განთავსებულია გამოცემის ინგლისური და რუსული ვერსიები.

"კავკასიის საინფორმაციო სამსახურზე" ხელმოწერა ნებისმიერ ენაზე უფასოა. ხელმოწერის გაფორმებისთვის ან ანულირებისთვის ეწვიეთ ინტერნეტგვერდს: http://www.iwpr.net/sub-form.html

A5

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 20/12 | 21 /12 |
|---|---|---|
| თბილისი | 10 | 1 |
| ტყიბული | 9 | 6 |
| სოხუმი | 5 | 3 |
| გორი | 5 | 1 |
| ონი | 1 | -5 |
| ზუგდიდი | 9 | 7 |
| ახმეტა | 10 | 2 |
| გაგრა | 3 | 2 |
| სამტრედია | 11 | 8 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7800 |
| ევრო | 2.1356 |
| გირვანქა სტერლ. | 3.1492 |
| რუბლი | 0.0621 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| პროექტი | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| რეკლამა | A 8 |


# ომერტა "ოპიზურად"

(გაგრძელება იქნება)

გიორგი ასანიშვილი

პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის გუშინდელ სხდომაზე საბაჟო ტერმინალ "ოპიზას" ყოფილ და ამჟამინდელი თანამდებობის პირებს ახსნა-განმარტება ჩამოართვეს. სხდომის დასრულების შემდეგ დეპუტატი კახა კუკავა განცვიფრებას ვერ მალავდა.

**"რაღაც ფანტასტიკასთან გვაქვს საქმე. თავი კრიმინალური სერიალების მონაწილე მგონია. კომისიის დღევანდელ სხდომაზე ზუსტად ისეთივე სურათი იყო, როგორიც იტალიურ მაფიაზე გადაღებულ ფილმებში, სადაც მოწმეებს დაშინებული სახეები აქვთ, ოფლი ასხამთ, მაგრამ ომერტას კანონს არ არღვევენ. "ოპიზას" წარმომადგენლებიც ყოველ მეორე კითხვაზე პასუხობდნენ: "არ ვიცი", "არ მახსოვს", და ა.შ. ისინი გაფრთხილებულები იყვნენ, რომ ზედმეტი არაფერი ეთქვათ,"** - საერთო ქართულ-სიცილიურ სცენარზე საუბრობს ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" პოლიტიკური მდივანი.

დროებით საგამოძიებო კომისიაში შემავალი ოპოზიციონერი დეპუტატები განსაკუთრებით ერთ-ერთი დაკითხულის, ლაშა ბრეგვაძის პერსონამ დააინტერესა. როგორც მან თავად აღიარა, გარკვეული დროის განმავლობაში, ერთდროულად ორი კონკურენტი დაწესებულების, საბაჟო ტერმინალების "ლილო-1"-ისა და "ოპიზას"... დირექტორის ფუნქციებს ასრულებდა.

ასეთი კურიოზული თანამდებობრივი შეუთავსებლობის დაჯერება საპარლამენტო უმრავლესობის წევრებს არაფრით სურდათ, მაგრამ "ჯიუტ ფაქტთან" ვერაფერს გახდნენ. მეტიც, ლაშა ბრეგვაძეს არც ის დაუმალავს, რომ "ლილო-1"-ის დირექტორის თანამდებობაზე პარტიული ნიშნით შეარჩიეს ("ნაციონალური მოძრაობის" წევრია) და რეკომენდაცია გიორგი არველაძემ გაუწია.

"ლილო-1"-ის ექსდირექტორის "გულახდილობამ" სახელისუფლებო ფრაქციის წევრები საკმაოდ შეაშფოთა და ბრეგვაძის გამოსარჩლება სცადეს. კობა დვალიშვილის თქმით, ამ ფაქტში გასაკვირი არაფერია და სხვა პარტიაშიც, ალბათ, ასევე მოიქცეოდნენ.

გაგრძელება A2 გვერდზე

# დუბლი მეოთხე: ბათუმის გემთსაშენი კვლავ მეპატრონის მოლოდინშია

*"ბათუმის გემთსაშენი ქარხანა" კვლავ მეპატრონის მოლოდინშია. უშედეგოდ ჩატარებული მესამე კონკურსის შემდეგ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ობიექტის გაყიდვას ხვალ შეეცდება.*

დიანა ჩაჩუა

"ბათუმის გემთსაშენი ქარხნის" პრივატიზების ხელისშემშლელ მიზეზებს ვერც ეკონომიკური განვითარების სამინისტროში და ვერც საწარმოში დარწმუნებით ვერ ასახელებენ. ბათუმის გემთსაშენის დირექტორის შალვა მუქთიშვილის აზრით, შესაძლოა ამის მიზეზი საწარმოს მაღალი ფასია. ამ მოსაზრებას, გარკვეულწილად, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს პრივატიზაციის დეპარტამენტის უფროსი ილია გოცირიძეც იზიარებს, რომელიც მიიჩნევს, რომ 7 მილიონ 700 ათასი დოლარი დაბალი ფასი არ არის. ის ასევე აღნიშნავს, რომ ამ ობიექტის გაყიდვის პროცესში ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა ინფორმაციული სიმწირეა.

შეგახსენებთ, რომ "ბათუმის გემთსაშენი ქარხნის" პრივატიზაცია კონკურსის ფორმით მოხდება. ილია გოცირიძის ინფორმაციით, სამი კონკურსის ჩატარების პერიოდში ეკონომიკური განვითარების სამინისტროში არც ერთი განაცხადი არ შესულა. თუმცა, მისივე თქმით, სიტყვიერი დაინტერესება ძალიან ბევრი იყო.

გაგრძელება A2 გვერდზე

# პოლიტიკური და სულიერი დამოუკიდებლობის განუყოფლობა

ნოდარ ლადარია

*რამდენიმე დღის წინათ კიევიდან თბილისში დაბრუნდა "რელიგიური საკითხების შემსწავლელი ცენტრის" დელეგაცია. "24 საათი" უკვე წერდა უკრაინის საეკლესიო-სამოქალაქო ფორუმის შესახებ. დღეს საშუალება გვაქვს, უფრო დაწვრილებით გავეცნოთ ამ მოვლენის პოლიტიკურ და სულიერ მნიშვნელობას. ამისათვის გადავწყვიტე გასაუბრება ცენტრის დირექტორთან, ლადო გოგიაშვილთან.*

**- რახან ერთმანეთს ახლოს ვიცნობთ, პირდაპირ დაგისვამ შეკითხვას: ეს ფორუმი მართლა მასშტაბური მოვლენა იყო?**

გაგრძელება A3 გვერდზე



საეკლესიო ორდენებით დაჯილდოება.

# კანონი ერთს ამბობს, ხალხი - საპირისპიროს

### "ქართველი მწყემსის შეხედულება თვითმმართველობაზე სიტყვასიტყვით ემთხვევა თვითმმართველობის ევროპული ქარტიის მოთხოვნებს"

*პირდაპირი გზით არჩეული, გამჭვირვალე, ფინანსურად ძლიერი, მოსახლეობის დასაქმებაზე ორიენტირებული - ასეთია თვითმმართველობის სასურველი მოდელი საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისთვის.*

ნანა ქადაგიშვილი

"სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ" და "გორბიმ" გუშინ ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები გამოაქვეყნა. მოსახლეობის გამოკითხვა, კონფლიქტის ზონების გარდა, საქართველოს ყველა რეგიონში ჩატარდა.

რამდენად კმაყოფილნი ხართ არსებული თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობით? რა იცით ამ სფეროში მიმდინარე ცვლილებების შესახებ? როგორ თვითმმართველობას ისურვებდით? - 1 277-მა რესპონდენტმა ამ სამ კითხვას უპასუხა.

გამოკითხულთა უმრავლესობა (განსაკუთრებით, ქალაქების მოსახლეობა) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობით უკმაყოფილო აღმოჩნდა. მოქალაქეები მიიჩნევენ, რომ ჩვენში თვითმმართველობის საქმიანობა გაუმჭვირვალე და არაეფექტურია, ამის მიზეზად კი უსახსრობას, კორუფციასა და ჩინოვნიკების არაკვალიფიციურობას ასახელებენ. სწორედ ასეთი დამოკიდებულების შედეგია ის, რომ გამოკითხულ მოქალაქეთა მხოლოდ 23 პროცენტს მიუმართავს თვითმმართველობის ორგანოსთვის დახმარების მისაღებად.

როგორც კვლევამ აჩვენა, საქართველოს მოსახლეობის დიდმა ნაწილმა თვითმმართველობის სფეროში მიმდინარე ცვლილებების შესახებ არაფერი იცის.

ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ რეალურ თვითმმართველობაზე მოსახლეობის წარმოდგენა თვითმმართველობის ჩვენი ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული მოდელისგან არსებითად განსხვავდება. გამოკითხულთა 89 პროცენტი პირდაპირი წესით არჩეული მერის მომხრეა და არა საკრებულოს მიერ არჩეულის (როგორც ამას ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონი ითვალისწინებს). მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ასევე ეწინააღმდეგება ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულთა გამსხვილებასა და თვითმმართველობის ორგანოს ფინანსურად ცენტრზე დამოკიდებულებას.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ამერიკა "სულელურ შეცდომას" არ დაუშვებს

ნანა ნასყიდაშვილი

**"ომი ერაყში წაგებული არ არის,"** - განუცხადა გუშინ ამერიკელ ხალხს აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა თეთრი სახლის "ოვალური კაბინეტიდან" გამართულ ტელემიმართვაში (საგულისხმოა, რომ ჯორჯ ბუშმა ერაყში შეჭრისა და ომის დაწყების ბრძანება 2003 წლის მარტში სწორედ ამ კაბინეტში გასცა).

ჯორჯ ბუშ-უმცროსის თქმით, მართალია, აშშ-მ ერაყში მასობრივი განადგურების იარაღი ვერ აღმოაჩინა, მაგრამ ცნობათა მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელსაც ოფიციალური ვაშინგტონი ომამდე ფლობდა, დადასტურდა.

აშშ-ს პრეზიდენტის თქმით, ერაყიდან სამხედროთა ნაადრევი გამოყვანის შემთხვევაში, ქვეყანა ამერიკელთა მტრების ხელში გადავა. ეს კი "სულელური შეცდომა" იქნებოდა, რომელითაც ტერორისტები ისარგებლებდნენ.

გაგრძელება A3 გვერდზე



ბუშის თქმით, ათი ერაყელიდან შვიდს მიაჩნია, რომ ქვეყანაში არსებული ვითარება სასიკეთოდ იცვლება.

# ამერიკის სასამართლოს მიერ გამოტანილი ბოლო სასიკვდილო განაჩენი

დღეისთვის სიკვდილით დასჯას 58 ქვეყანაში იყენებენ. ყველაზე მეტი სასიკვდილო განაჩენი გამოიტანეს და სისრულეშიც მოიყვანეს ჩინეთში, სადაც 2004 წელს 4 ათასი ადამიანი სიკვდილით დაისაჯა; ჩინეთის შემდეგ მოდის ირანი, სადაც 197 ადამიანი გახდა სასიკვდილო განაჩენის მსხვერპლი; მესამე ადგილი კი, უკავია ვიეტნამს, აქ 115 მისჯილი დაისაჯა უმძიმესი სასჯელით.

ადამიანის უფლებების დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებით, იმ ქვეყნებს შორის, სადაც სასჯელის ზომად გამოყენებულია სიკვდილით დასჯა, 33 ქვეყანაში განაჩენი სისრულეში მოდის ადამიანის ჩამოხრჩობით, სამ ქვეყანაში კი მსჯავრდებულს თავს კვეთენ. სხვა ქვეყნებში იყენებენ ისეთ საშუალებებს, როგორიცაა ელექტრო სკამი, სასიკვდილო ინექცია, ქვებით ჩაქოლვა, რომელიც, ძირითადად, აფრიკის ქვეყნებში გამოიყენება, ხოლო 73 ქვეყანა განაჩენის სისრულეში მოსაყვანად იყენებს დახვრეტას.

სიკვდილით დასჯა გაუქმებულია 67 ქვეყანაში, ხოლო დე ფაქტოდ გაუქმებულია 23 ქვეყანაში.

იმ ქვეყნებს შორის, სადაც დღესაც კი მოქმედებს სიკვდილით დასჯა, ამერიკის შეერთებული შტატებიცაა, სადაც განაჩენის აღსასრულებლად ელექტრო სკამსა და სასიკვდილო ინექციას ხმარობენ. სასიკვდილო ნემსი პრაქტიკაში პირველად 1977 წელს გამოიყენეს, რადგან, აშშ-ს ხელისუფლების გადაწყვეტილებით, "ელექტრო სკამის გამოყენება ძალზე ძვირი ჯდებოდა". სხვათა შორის, 1886 წელს ელექტრო სკამი სიკვდილით დასჯის ყველაზე ჰუმანურ მეთოდად მიიჩნიეს.

გაგრძელება A4 გვერდზე

# ომერტა "ოპიზურად"

პირველი გვერდიდან

დვალიშვილის ლოგიკა კახა კუკავას საკმაოდ ახალისებს და პოლიტიკურ ოპონენტს ექსპერიმენტის ჩატარებას სთავაზობს. **"მოდით, კობა დავითაშვილის სარეკომენდაციო წერილის საფუძველზე ვინმეს საბაჟო ტერმინალის დირექტორად დანიშვნა მოვითხოვოთ და ვნახოთ, რა გამოვა,"** - ენაძლევება კუკავა დვალიშვილს.

თუმცა, უმრავლესობის შეშფოთება რომ უსაფუძვლოა და ლაშა ბრეგვაძეს ზედმეტი არაფერი წამოუროშავს, ამ უკანასკნელმა მასმედიასთან საუბარში თავად დაადასტურა: "ლილო-1"-ის ექსდირექტორის მტკიცებით, პარტიული რეკომენდაციის თაობაზე კომისიის სხდომაზე რომ ისაუბრებდა, გიორგი არველაძესთან წინასწარ ჰქონდა შეთანხმებული.

**"ჩვენ მაფიოზურ სახელმწიფოში ვცხოვრობთ და ეს მოწმეებსაც ეტყობა,"** - ქართული "რვაფეხას" რეალობაში ეჭვი არ ეპარება კახა კუკავას. მისივე თქმით, მთავარი სანახაობა ჯერ კიდევ წინ არის - დასაკითხნი არიან დეპუტატი კობა ბექაური და ებრაელი ბიზნესმენი მერაბ ფიჩხაძე.

დაბოლოს, რაც მთავარია: ახალი კრიმინალური სერიების "გადაღებას" საფრთხე არ ემუქრება - გუშინ პარლამენტის ბიურომ დროებით საგამოძიებო კომისიას უფლებამოსილების ვადა მომავალი წლის 13 თებერვლამდე გაუგრძელა.

# რომან გოცირიძე რუს კოლეგას მადლობას უხდის

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ რუსეთის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელობას სწრაფი რეაგირებისათვის მადლობა გადაუხადა. რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა რუსულ კომერციულ ბანკს "მაკპრომბანკს" საქართველოს ეროვნული ბანკიდან მიღებული შეტყობინების საფუძველზე საბანკო საქმიანობის ლიცენზია ჩამოართვა. ამ გადაწყვეტილების ოფიციალურ მოტივაციათა შორის აღნიშნულია კომერციული ბანკის მიერ დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების "გათეთრებისა" და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ რუსეთის ფედერალური კანონმდებლობის დარღვევა. საქართველოს ეროვნული ბანკის შეტყობინების მიხედვით, ქართულ კომერციულ ბანკს "ქართულ ბანკს", რომელსაც მცირე ხნის წინ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ლიცენზია ჩამოართვა, ფულის გათეთრების მიზნით, საკორესპონდენტო ანგარიშები სწორედ "მაკპრომბანკში" ჰქონდა გახსნილი. ლიკვიდაციის პროცესში მყოფ ქართულ და რუსულ ბანკებს საერთო დამფუძნებლები ჰყავდათ. მათი სურვილი იყო, ფულის გათეთრების არხები ბალტიის ქვეყნებიდან საქართველოში გადმოეტანათ. "მაკპრომბანკისათვის" ლიცენზიის გამოთხოვის თაობაზე რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა საქართველოს ეროვნულ ბანკს ახლახან ოფიციალურად შეატყობინა. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ რუსეთის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელობის მხრიდან სწრაფი რეაგირების გამო კმაყოფილება გამოთქვა. "მადლობა მინდა ვუთხრა რუსეთის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელებს, მათი მხრიდან დროული ჩარევის გამო, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა ფულის გათეთრების დანაშაულებრივი ქმედების აღკვეთა. ვიმედოვნებ, რომ საქართველოსა და რუსეთის ცენტრალურ ბანკებს შორის ნაყოფიერი თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება," - აღნიშნა რომან გოცირიძემ. საქართველოს ეროვნულ ბანკთან არსებულ ფინანსური მონიტორინგის სამსახურში ფულის გათეთრების სქემა დროულად გამოვლინდა და აღიკვეთა. "ქართულ ბანკს" ლიცენზია ჩამოერთვა, მისი პარტნიორი რუსული "მაკპრომბანკის" თაობაზე კი შეტყობინება რეაგირებისათვის რუსეთის ცენტრალურ ბანკს გადაეგზავნა. ამის შემდეგ რუსულმა ბანკმა ფუნქციონირება შეწყვიტა, რადგან მისი საქმიანობა უშუალოდ ფულის გათეთრებისაკენ იყო მიმართული.

*24 საათი*

# საპარლამენტო ნაძვის ხე კანონპროექტებით არის დახუნძლული

გიორგი ასანიშვილი

პარლამენტში უკვე საახალწლო განწყობამ დაისადგურა: ბიუროს სხდომათა დარბაზში სათამაშოებით მორთული და ნათურებით გაჩირაღდნებული ნაძვის ხე დადგეს, პარლამენტარები უჩვეულოდ კარგ ხასიათზე არიან, სხვების იუმორს გაგებით ხვდებიან და თავადაც სიამოვნებით ხუმრობენ. მით უმეტეს, პრეზიდენტ სააკაშვილის ოჯახში ვაჟიანობამ მათ საამისოდ მშვენიერი საბაბი მისცა.

**"რევოლუცია რომ წმინდა დღეს მოახდინა, მესმის, მაგრამ შვილის შეძენაც რომ წმინდა დღეს, ნიკოლოზობას დაამთხვია, უკვე საოცრებაა,"** - საქართველოს პრეზიდენტის ყოვლისშემძლეობით გაოცებულია ნოდარ გრიგალაშვილი.

დეპუტატების საახალწლო განწყობას მხოლოდ ის გარემოება ამძიმებს, რომ დღეიდან დაწყებულ რიგგარეშე სესიაზე 100-ზე მეტი კანონპროექტის განხილვა და დამტკიცება მოუწევთ. თუმცა, ხალხის რჩეულები მძიმე შრომისთვისაც მზად არიან.

**"თუ საჭირო იქნება, 12-ს რომ 10 წუთი დააკლდება, მანამდე ვიმუშავებ. სახლში მისასვლელად, სულ რაღაც, 10 წუთი მჭირდება,"** - საკუთარ უპირატესობას არ მალავს პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი.

**"მე კი 15 წუთი მჭირდება,"** - თავისი მოადგილის უკეთეს სასტარტო პოზიციას აღიარებს ნინო ბურჯანაძე.

ახალი წლის მოახლოებამ პარლამენტარები ქველმოქმედების ხასიათზეც დააყენა. ისინი სიამოვნებით ეთანხმებიან საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელის წინადადებას, რომ არასაპატიო მიზეზით სხდომების გაცდენების გამო დეპუტატებისთვის ხელფასიდან დაქვითული 9000 ლარი ატენის სიონის რესტავრაციას მოხმარდეს.

**"თუ ეს თანხა ასეთ კეთილშობილურ მიზანს მოხმარდება, ამან მომავალში, შეიძლება, პარლამენტარებს სხდომების გაცდენისკენ უბიძგოს,"** - აფრთხილებს ნინო ბურჯანაძეს ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე.

რაც შეეხება რიგგარეშე სესიის დღევანდელ პრემიერას, მას ქვეყნის პრემიერი გახსნის. ზურაბ ნოღაიდელი დეპუტატებს სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოგვარების სამშვიდობო გეგმას წარუდგენს. ამას მოჰყვება 2005 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა და 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვა, "ადგილობრივი თვითმმართველობისა" და "სახელმწიფო პენსიების შესახებ" კანონების დამტკიცება, საარჩევნო და საგადასახადო კოდექსებში ცვლილებების შეტანა, და ამასობაში... 12-ს 10 წუთი დააკლდება.

# მილოცვა

## საქართველოს პრეზიდენტს ბ-ნ მიხეილ სააკაშვილს და ქ-ნ სანდრა რულოვსს

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და "ჩაღლარის" სასწავლო დაწესებულებების თანამშრომლების სახელით გილოცავთ ვაჟის შეძენას.

ვუსურვებთ თქვენს პატარას ჯანმრთელობას, ბედნიერებას, დღეგრძელობას და ერთიან, ძლიერ საქართველოში ცხოვრებას.

**მესუთ ბოზქირი**
**შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და "ჩაღლარის" სასწავლო დაწესებულებების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე**

# კანონი ერთს ამბობს, ხალხი - საპირისპიროს

პირველი გვერდიდან

გამოკითხულთა 55 პროცენტი თანახმაა, არსებულზე მაღალი ადგილობრივი გადასახადი გადაიხადოს, თუკი აქედან შემოსული თანხა ადგილობრივ თვითმმართველობას დარჩება. თვითმმართველობის ორგანოს მთავარი ფუნქცია კი, როგორც მოქალაქეთა უმრავლესობა მიიჩნევს, მოსახლეობის დასაქმებაზე ორიენტირებაა.

მოკლედ, კვლევის მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისათვის ყველაზე მისაღები პირდაპირი გზით არჩეული, ფინანსურად დამოუკიდებელი და მოქალაქეთა დასაქმებაზე ორიენტირებული თვითმმართველობაა. სხვათა შორის, საინტერესო დასკვნა გააკეთა არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციამაც, როცა ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონპროექტის ალტერნატიულ ვარიანტზე მუშაობისას მოსახლეობის გამოკითხვას აწარმოებდა. **"ქართველი მწყემსის შეხედულება თვითმმართველობაზე სიტყვასიტყვით ემთხვევა თვითმმართველობის ევროპული ქარტიის მოთხოვნებს,"** - განაცხადა კოალიციის ერთ-ერთმა წევრმა დავით ლოსაბერიძემ.



*"გორბის" და "სამართლიანი არჩევნების" ხელმძღვანელები პრესკონფერენციაზე.*

მართალია, საპარლამენტო უმრავლესობაც აცხადებდა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონზე მუშაობისას, უპირველესად, მოსახლეობის ნება-სურვილი გაითვალისწინა, მაგრამ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებმა საწინააღმდეგო აჩვენა. **"ჯობდა, მოსახლეობის გამოკითხვა ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონის მიღებამდე ჩაგვეტარებინა, მაგრამ ვიმედოვნებთ, ჩვენი კვლევა ხელისუფლებას კანონის შემდგომ დახვეწაში დაეხმარება,"** - აცხადებს "სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების" წარმომადგენელი თამარ ჟვანია.

# დუბლი მეოთხე: ბათუმის გემთსაშენი კვლავ მეპატრონის მოლოდინშია

პირველი გვერდიდან

ხვალ "ბათუმის გემთსაშენი ქარხანა" კონკურსზე იგივე ფასით და იგივე პირობებით გამოვა. ობიექტის საწყისი გასაყიდი ფასი კვლავ 7 მილიონ 700 ათასი დოლარია.

როგორც ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზეა მითითებული, ქონების ჩამონათვალი ასე გამოიყურება: ადმინისტრაციული შენობის ფართი - 2873,9 კვ.მ., სხვა შენობა-ნაგებობების ფართი - 23668,5 კვ.მ., მიწის ფართის სიდიდე - 95800 კვ.მ., ქარხნის საწესდებო კაპიტალი 13 მილიონ 774 ათასი ლარია.

ბათუმის გემთსაშენის დებიტორული დავალიანება 309837 ლარს შეადგენს. როგორც ქარხნის დირექტორმა შალვა მუქთიშვილმა "24 საათთან" საუბარში აღნიშნა, საწარმოს უმსხვილესი დებიტორი "ლიბერტი ბანკია". ბათუმის გემთსაშენს აღნიშნულ ბანკში სპეციალური ანგარიში ჰქონდა, რომელზედაც 100 ათასი დოლარი ირიცხებოდა. ბანკის გაკოტრების შემდეგ ეს თანხა საწარმოს დებიტორულ ვალში გადავიდა. დაახლოებით 60 ათასი ლარი საწარმოს მიმართ ბათუმის კორტებს მართებს.

რაც შეეხება ბათუმის გემთსაშენის კრედიტორებს: მთლიანობაში საწარმოს კრედიტორული დავალიანება 1633152 ლარს შეადგენს. აქედან, 630 ათასი ლარი საწარმოს ბიუჯეტის მიმართ მართებს. შალვა მუქთიშვილის თქმით, აღნიშნული ვალი რესტრუქტურიზაციის პროცესშია. ასევე, გემთსაშენის კრედიტორებს შორისაა აჭარის უზენაესი საბჭო, რომელმაც 2003 წელს ქარხანას ზღვისპირა პარკებისთვის ფანჩატურები დაუკვეთა. შეუსრულებელი სამუშაოების გამო (საწარმომ სამუშაოების მხოლოდ 80 პროცენტი შეასრულა) მილიონ-ნახევარი ლარი გემთსაშენის კრედიტორულ დავალიანებაში გადავიდა.

"ბათუმის გემთსაშენი ქარხანა" მოქმედი საწარმოა. შალვა მუქთიშვილის ინფორმაციით, ბათუმის გემთსაშენს, სახელმწიფოს გარდა, სხვა აქციონერები არ ჰყავს. საწარმოში 150 ადამიანია დასაქმებული. მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ხელფასი კი 250 ლარია. ქარხნის საქმიანობის სფერო მცურავი საშუალებების მშენებლობა და რემონტი, მანქანა-დანადგარებისა და ლითონკონსტრუქციების წარმოება და რემონტია. მიმდინარე წელს გემთსაშენმა კატარღები - ორი "სტრიჟი" და ორი "აისტი" დაამზადა. დამკვეთები თურქმენეთი და რუსეთი იყვნენ.

და ბოლოს, "ბათუმის გემთსაშენი ქარხნის" მყიდველთა საყურადღებოდ: "ბე" - 770 ათასი დოლარის ეკვივალენტი ლარებში - კონკურსზე განაცხადის წარდგენამდე უნდა იყოს გადახდილი. საკონკურსო პირობები კი ასე გამოიყურება: 1) შპს "ბათუმის გემთსაშენი ქარხნის" საქმიანობის პროფილის შენარჩუნება 5 წლის განმავლობაში; 2) სახელფასო ფონდის ზრდა 10 პროცენტით არანაკლებ სამი წლის განმავლობაში. 3) საწარმოში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა შენარჩუნება არანაკლებ 3 წლის განმავლობაში; 4) 2 მილიონ 500 ათასი აშშ დოლარის ეკვივალენტური თანხის გადახდა ლარებში 2005 წლის 27 დეკემბრამდე; 2 მილიონი აშშ დოლარის ეკვივალენტური თანხის გადახდა ლარებში 2006 წლის პირველ ივლისამდე, ხოლო დარჩენილი თანხის გადახდა ლარებში 2006 წლის პირველ ნოემბრამდე.

# "გაერთიანებულმა ქართულმა ბანკმა" წინასაახალწლო დარბაზობა გამართა

"გაერთიანებული ქართული ბანკი" და მისი ნაცადი და ერთგული პარტნიორები უშუალო ვითარებაში აჯამებდნენ 2005 წლის შედეგებს, სამომავლო ურთიერთობების პერსპექტივებზეც საუბრობდნენ და ერთობლივად აფასებდნენ "გაერთიანებული ქართული ბანკის" კორპორატიული ჟურნალის "პარტნიორის" პირველ ნომერს.



საღამოს მაჟორული განწყობა დავით ილურიძის ბენდმა და საღამოს წამყვანმა გიორგი გოგიჩაიშვილმა უზრუნველყვეს. იყო ბევრი სიურპრიზი, კეთილი სურვილები და დასასრულს ულამაზესი ფიერვერკი.

2005 წელი "გაერთიანებული ქართული ბანკისათვის" საეტაპო მნიშვნელობის გამოდგა. იანვრის თვეში ახალი პარტნიორის, რუსული საფინასო ბაზრის ერთ-ერთი ლიდერის, "ვნეშტორგბანკის" "გქბ"-ს უმსხვილეს დამფუძნებლად შემოსვლამ მოკლე ვადაში ახალი მნიშვნელოვანი წარმატებების მიღწევა განაპირობა. "ვნეშტორგბანკმა" "გქბ"-ს სხვადასხვა მიზნობრიობით საერთო ჯამში 93,5 მლნ. აშშ დოლარის საკრედიტო რესურსი გამოუყო. ამ რესურსის მეშვეობით "გაერთიანებულმა ქართულმა ბანკმა" უპრეცედენტო მოცულობის ენერგეტიკული პროექტის დაფინანსება შეძლო. კერძოდ, გარდაბნის რაიონში განთავსდა უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი გაზოტურბინები, რომლებიც უახლოეს ორ-სამ თვეში ექსპლუატაციაში იქნება გაშვებული და საქართველოს ენერგობაზარს 110 მგვტ ელექტროენერგიას მიაწვდის.

"ვნეშტორგბანკთან" ურთიერთობის შედეგად "გქბ"-ს ასევე გამოეყო 12 მლნ. დოლარის მოცულობის სუბორდინირებული კრედიტი. მიმდინარეობს მოლაპარაკებები სინდიცირებული კრედიტის გამოყოფის თაობაზე. მიმდინარე წლის ბოლომდე "გქბ"-ს გაცხადებული კაპიტალი 20 მლნ. ლარით გაიზრდება.

"ვნეშტორგბანკთან" პარტნიორული ურციერთობების დამყარების პარალელურად 2005 წელი "გაერთიანებული ქართული ბანკისათვის" სხვა მნიშვნელოვანი მომენტებითაც იყო გამორჩეული. კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთმა წამყვანმა ფინანსურმა ინსტიტუტმა "ამერიქან ექსპრესმა" ბანკს 2 მლნ. დოლარის მოცულობის საკრედიტო რესურსი გამოუყო. ეს ფაქტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რამდენადაც ამერიკულ-ქართული საბანკო ინსტიტუტების პირდაპირი თანამშრომლობის პირველი პრეცედენტია.

დასრულების სტადიაშია მოლაპარაკებები "ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან" მცირე და საშუალო ბიზნესისა და ვაჭრობის დაფინანსების მიზნობრიობით 10 მლნ. აშშ დოლარის მოცულობის საკრედიტო რესურსის გამოყოფასთან დაკავშირებით.

მზადაა ხელმოსაწერად შეთანხმება "შავი ზღვის აუზის ქვეყნების ვაჭრობის განვითარების ბანკთან" 3 მლნ. აშშ დოლარის საკრედიტო ხაზის გახსნის თაობაზე.

გარდა ამისა, 2005 წელს "გაერთიანებულმა ქართულმა ბანკმა" მნიშვნელოვნად გაზარდა საკრედიტო ლიმიტები მიკროსესხების დაფინანსებისას, დაინერგა სამომხმარებლო სესხები, გაფართოვდა აგრო-სესხების გეოგრაფია, მნიშვნელოვნად გამარტივდა სადეპოზიტო პროცედურები, დაიხვეწა სტრუქტურა და განხორციელდა ქსელის ოპტიმიზაცია.

**ზაზა სიორიძე: ("გაერთიანებული ქართული ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე)**

"უპირველეს ყოვლისა, ჩვენს უკლებლივ ყველა პარტნიორს, თანამშრომლობის მასშტაბების მიუხედავად, მინდა გულითადი მადლობა მოვახსენო არჩევანის "გაერთიანებულ ქართულ ბანკზე" შეჩერებისათვის, ერთგული პარტნიორობისათვის. მე დარწმუნებული ვარ, მომავალში ჩვენი ურთიერთობა გაცილებით მასშტაბური გახდება. 2005 წელს დაფიქსირებული განვითარების ტენდენციები, ამ განცხადების თამამად გაკეთების საფუძველს მაძლევს. ვულოცავ მათ დამდეგ 2006 წელს, მშვიდობას, სიუხვეს, ბარაქას და წარმატებას ვუსურვებ".

**იუზა თავდიდიშვილი: ("გაერთიანებული ქართული ბანკის" გენერალური დირექტორი)**

"ყველა საფუძველი მაქვს საამისოდ, რომ "გაერთიანებული ქართული ბანკის" განვითარების თვალსაზრისით 2006 წელს განსაკუთრებული ოპტიმიზმით შევხედო. დარწმუნებული ვარ, ახალ პარტნიორთან, "ვნეშტორგბანკთან" ურთიერთობის ქრონიკა, ამ ურთიერთბის განვითარების პოზიტიური ტენდენცია და ნაცად პარტნიორებთან, ჩვენს ერთგულ კლიენტურასთან თანამშრომლობის ისტორია და პერსპექტივა ბანკის სამომავლო წარმატებას შეუქცევად ხასიათს მისცემს და კიდევ უფრო გაამყარებს მის პოზიციებს ქართულ საფინანსო ბაზარზე.

ფეხბედნიერი ყოფილიყოს დამდეგი ახალი წელი საქართველოსთვის, მთელი ქართული საზოგადოებისათვის".

**ვანო ჩხარტიშვილი: (პარლამენტარი. "გაერთიანებული ქართული ბანკის" დამფუძნებელი)**

"ვულოცავ ყველას დამდეგ შობა-ახალი წლის დღესასწაულებს. დღეს ბანკმა ლამაზი საღამო გაუმართა თავის პარტნიორებს და მე დარწმუნებული ვარ რომ მომავალი წლის საახალწლო მიღებისას ჩვენ მათთან და ისინი ჩვენთვის გაცილებით მასშტაბურ წარმატებებზე ვისუბრებთ, რადგან ასევე დარწმუნებული ვარ, რომ 2006 წელი ქართულ საბანკო ბაზარზე "გაერთიანებული ქართული ბანკის" პირველობის წელი იქნება"

წინასაახალწლოდ "გაერთიანებულ ქართული ბანკი" არც თავის უმცროს მეგობრებს "კოჯრის მზრუნველობასმოკლებულ ბავშვთა სპორტული სკოლა-ინტერნატის" აღსაზრდელებს ივიწყებს. სკოლა-ინტერნეტთან თანამშრომლობის ისტორია მეხუთე წელს ითვლის, იგი კარგა ხანია გასცდა ჩვეულებრივი ქველმოქმედების ფარგლებს და მყარ მეგობრობაში გადაიზარდა.

ამ საახალწლოდაც "გაერთიანებული ქართული ბანკის" წარმომადგენლები ნუგბარით საყოფაცხოვრებო ტექნიკით, სასკოლო და სპორტული ინვენტარით ხელდამშვენებულები ესტუმრებიან სკოლა-ინტერნატს.

### მოკლედ

## შამბა ფსოუზე სასაზღვრო-გამშვები პუნქტების შექმნას გამორიცხავს

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლება აფხაზეთის გავლით რუსეთ-საქართველოს შორის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის შესახებ ქართულ და რუსულ მხარეებს შორის მიღებულ გადაწყვეტილებას მიესალმება, თუმცა მდინარე ფსოუზე ქართულ-აფხაზური საბაჟო და სასაზღვრო საკონტროლო-გამშვები პუნქტის შექმნის შესაძლებლობას კატეგორიულად გამორიცხავს.

სოხუმის დე ფაქტო ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი შამბას განცხადებით, აფხაზეთის ხელისუფლება "წინ გადადგმულ ნაბიჯად" მიიჩნევს საქართველოს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელსა და რუსეთის ტრანსპორტის მინისტრ იგორ ლევიტინის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, მაგრამ, მისი თქმით, "საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად, მოსკოვსა და თბილისს სოხუმთან მოლაპარაკებების გაგრძელება და რიგი მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრა მოუწევთ."

სოჭი-ინგირის სარკინიგზო მონაკვეთის აღსადგენად საერთაშორისო კონსორციუმის დაფუძნების, აღნიშნულ მონაკვეთზე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად ფინანსების მოძიების და აფხაზურ მხარესთან სადავო საბაჟო და სასაზღვრო საკითხების მოგვარების გადაწყვეტილება ქართულმა და რუსულმა მხარეებმა სამთავრობათაშორისო ეკონომიკური კომისიის სხდომაზე 16 დეკემბერს, თბილისში მიიღეს. **ინტერპრესნიუსი**

## გარემოს დაცვის სამინისტროში ვაკანსიებია

21 დეკემბერს ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებული კონკურსის მონაწილეთა ტესტირება ჩატარდება.

გარემოს დაცვის სამინისტროში 157 ვაკანსიაა. კონკურსი სამინისტროში არსებულ ყველა თანამდებობას ეხება. გამონაკლისი მხოლოდ მინისტრის, მისი პირველი მოადგილის, დეპარტამენტების თავმჯდომარეთა თანამდებობებია. როგორც გარემოს დაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განაცხადეს, სამინისტროში მუშაობის სურვილი 470-ზე მეტმა მოქალაქემ გამოთქვა.

სამინისტროში აცხადებენ, რომ ტესტირების შეკითხვები სპეციალურ განათლებასა და ცოდნას არ მოითხოვს. საატესტაციო კომისია შრომით, სასწავლო, ცხოვრებისეული გამოცდილებითა და ზოგადი წარმოდგენებით შეარჩევს 157 საუკეთესო თანამშრომელს. საატესტაციო კომისიას მინისტრის პირველი მოადგილე დავით ჩანტლაძე უხელმძღვანელებს.

ტესტირების ერთადერთი საკვალიფიკაციო მოთხოვნა უმაღლესი განათლებაა. შესარჩევ კონკურსში მონაწილეობას სამინისტროს ამჟამინდელი თანამშრომლებიც მიიღებენ. **მედიანიუსი**

## ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაცია მხოლოდ ზოგიერთ კლინიკაში ჩატარდება

გუშინ სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ხელმძღვანელობამ ის კლინიკები დაასახელა, სადაც 2006 წლიდან ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაცია იქნება შესაძლებელი. სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის დირექტორის მოადგილის ვახტანგ სურგულაძის განცხადებით, ანტირაბიულმა ვაქცინამ შესაძლოა პაციენტში შოკური რეაქცია გამოიწვიოს. ამიტომ, ფონდის გადაწყვეტილებით, ვაქცინაცია მხოლოდ იმ კლინიკებში ჩატარდება, სადაც რეანიმაციის განყოფილება ფუნქციონირებს.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონში ანტირაბიული ვაქცინაციის ჩატარება იმუნიზაციის ცენტრში გახდება შესაძლებელი. გლდანი-ნაძალადევის რაიონში მოსახლეობას ცოფის საწინააღმდეგო აცრების მიღება N4 კლინიკურ საავადმყოფოში შეეძლება, ხოლო მთაწმინდა-კრწანისის რაიონში ამ ფუნქციას ნიკოლოზ ბარნოვის სახელობის ჰოსპიტალი შეითავსებს.

ჯერჯერობით უცნობია, თუ რომელ სამკურნალო ცენტრებში ჩატარდება ანტირაბიული აცრები დიდუბე-ჩუღურეთისა და ისანი-სამგორის რაიონებში. **მედიანიუსი**

# ბანკი + სავაჭრო კომპანია - პირველი პრეცედენტი საქართველოში

ნინო ნარჩემაშვილი

*"საქართველოს ბანკმა" და მისმა ძირითადმა აქციონერმა "ფაიარბერდ ავრორა ფონდმა" საქართველოში სუპერმარკეტების ერთ-ერთი ყველაზე ფართო ქსელის სს "პოპულის" აქციები შეიძინა. ეს საქართველოში ბანკისა და არასაბანკო სექტორის წარმომადგენელი სააქციო კომპანიის შერწყმის პირველი პრეცედენტი გახლავთ.*

გარიგების პირობების თანახმად, რომელიც ორ ეტაპად განხორციელდა, "საქართველოს ბანკმა" შეიძინა სს "პოპულის" ახალი აქციების 10 პროცენტი - პირველი ეტაპის ფარგლებში, ხოლო გარიგების მეორე ეტაპის შედეგად "ფაიარბერდ ავრორა ფონდი" გახდა სს "პოპულის" ახალი და არსებული აქციების 23.3 პროცენტის მფლობელი. გარიგების შედეგად სს "პოპულიმ" მიიღო 0.81 მლნ ლარის რესურსი.

რას მისცემს ეს შერწყმა "საქართველოს ბანკს", რომელიც უკანასკნელ პერიოდში სხვადასხვა კომპანიების შესყიდვის შედეგად საკმაოდ მსხვილ საფინანსო ინსტიტუტად ჩამოყალიბდა? "საქართველოს ბანკის" გენერალური დირექტორის ლადო გურგენიძის განცხადებით, **"პარტნიორობა სს "პოპულის" ზრდის მეტად მნიშვნელოვან ეტაპზე დაიწყო. როგორც საფინანსო სექტორის წარმომადგენლებს, აღნიშნული გარიგება საშუალებას მოგვცემს პოპულის კარგად განვითარებული ქსელის მეშვეობით კიდევ უფრო დავუახლოვდეთ მოსახლეობას და ახალი არხების საშუალებით დამატებით შევთავაზოთ ჩვენი საცალო საბანკო პროდუქტების მრავალფეროვნება. ასევე ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ "საქართველოს ბანკის" აქციონერმა, "ფაიარბერდ ავრორამ" მიიღო გადაწყვეტილება დააბანდოს სახსრები არასაბანკო სექტორში, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს "პოპულის" საიმედოობას, ზრდის პერსპექტივას და მისი მენეჯმენტის პროფესიონალიზმს".**

სს "პოპულის" გენერალური დირექტორი და დამფუძნებელი ევგენი ფიჩხაი "პოპული"-ში ახალი აქციონერების შემოსვლას პრესტიჟულად და მომგებიანად აფასებს და აღნიშნავს, რომ "პოპული" არასაბანკო სექტორის წარმომადგენელი პირველი ქართული სააქციო კომპანია გახდა, რომლის აქციებიც შეიძინეს ისეთმა პრესტიჟულმა საერთაშორისო ინსტიტუციონალურმა ინვესტორმა, როგორიცაა "ფაიარბერდ ავრორა ფონდი" და საქართველოს ერთ-ერთმა წამყვანმა ბანკმა "საქართველოს ბანკმა". მისივე შეფასებით, **"ახალ აქციონერებთან თანამშრომლობა "პოპული"-ს საშუალებას მისცემს გრძელვადიანი გეგმები კიდევ უფრო ეფექტურად განახორციელოს. კერძოდ, 100 ერთეულამდე გაზარდოს სუპერმარკეტების ქსელი, რომელიც საქართველოს ყველა რეგიონს მოიცავს, შექმნას ცენტრალური საწყობი, დააარსოს სადისტრიბუციო და ლოგისტიკის ცენტრი".**

ასე რომ, სააქციო კაპიტალში ინვესტირების მესამე ეტაპის შედეგად, "პოპული" მომწოდებლების რაოდენობის გაფართოებას და მრავალფორმატიანი სავაჭრო ქსელის საშუალებით მომხმარებლისათვის უმაღლესი ხარისხის პროდუქციასთან ერთად, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მომსახურების შეთავაზებას გეგმავს. სწორედ ამ მიზნით "საქართველოს ბანკი" და სს "პოპული" გაზაფხულისთვის ერთობლივ ბარათს - პოპულიბარათს გამოუშვებენ.

მთავარი რედაქტორი მამუკა ფარზაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# პოლიტიკური და სულიერი დამოუკიდებლობის განუყოფლობა

პირველი გვერდიდან

- მოვლენის მნიშვნელობაზე თუნდაც ის მეტყველებს, რომ ფორუმი 13 დეკემბერს კიევის ოპერის თეატრში გაიხსნა — ანუ ეროვნული მნიშვნელობის შენობაში. საეკლესიო-სამოქალაქო ფორუმს ეწოდა ნიშანდობლივი სახელი: "უკრაინის სახელმწიფოს — დამოუკიდებელი მართლმადიდებელი ეკლესია". შეკრებას ოფიციალურად მიესალმა უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო, მას ესწრებოდნენ მთავრობის წევრები, უმაღლესი რადას დეპუტატები, პოლიტიკოსები, საზოგადოების ცნობილი სახეები (რომ არა ვთქვათ "ინტელიგენცია"), ახალგაზრდული ორგანიზაციების, არმიისა და ფლოტის წარმომადგენლები. ერთი სიტყვით, წარმოდგენილი იყო მთელი საზოგადოებრივი სპექტრი და თვით საზოგადოება იყო ამ ფორუმის ინიციატორი. ბუნებრივია, ფორუმზე იყვნენ მართლმადიდებელი სასულიერო პირები, მათ შორის, კიევის და სრულიად უკრაინის პატრიარქი, უწმინდესი ფილარეტი, რომელიც მეთაურობს უკრაინის დამოუკიდებელ, პატრიოტულ, მოსკოვის დაქვემდებარებისაგან დამოუკიდებელ ეკლესიას.

**- სხვა უფრო კონკრეტული საბაბიც ხომ არ არსებობდა ამ ფორუმის მაინცდამაინც დეკემბერში გასამართავად?**

- უკრაინაში უკანასკნელმა საპრეზიდენტო არჩევნებმა აჩვენა, როგორ იყენებენ "მართლმადიდებლურ ფაქტორს" უკრაინის სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების წინააღმდეგ, რადგან მოსკოვის იურისდიქციაში მყოფი ეკლესია გამოდიოდა ვიქტორ იუშჩენკოს წინააღმდეგ და აქტიურად, შეიძლება ითქვას, უტიფრად უჭერდა მხარს იანუკოვიჩს, რომელსაც ლამის წმინდანად აცხადებდა. ახლა ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ მარტში გაიმართება საპარლამენტო არჩევნები. პოლიტიკური სიტუაცია დაძაბულია და რუსეთი უკრაინისათვის ენერგომატარებლების შეზღუდვასთან ერთად ცდილობს იდეოლოგიური რესურსის, ისევ და ისევ ყბადაღებული "მართლმადიდებლური ფაქტორის" ამუშავებას, რათა უკრაინის პარლამენტში მრავლად შეიყვანოს პრორუსული ორიენტაციის დეპუტატები.

**- რამდენადაც მახსოვს, ვიქტორ იუშჩენკო, იანუკოვიჩისაგან განსხვავებით, რელიგიურ ნეიტრალიტეტს იცავდა...**

- თვითონ ეს ფრაზა, ფორუმის დევიზი — "უკრაინის სახელმწიფოს — დამოუკიდებელი მართლმადიდებელი ეკლესია" — ეკუთვნის ვიქტორ იუშჩენკოს. ის არაერთხელ გამოსულა ამ წინადადებით, მაგალითად, აგვისტოში, როცა გადაიხადეს უკრაინის დამოუკიდებლობის აღდგენის მეთოთხმეტე წლისთავი. უკრაინაში ყველა აცნობიერებს, რომ ეკლესიის დამოუკიდებლობის საკითხი არა მარტო სულიერებას ეხება, არამედ სახელმწიფო უსაფრთხოებას.

**- თქვენი... უფრო სწორად, ახლა შემიძლია ასე ვთქვა: ჩვენი დელეგაციის სტატუსი როგორი იყო?**

- ფორუმზე ჩვენ ჩავედით როგორც რელიგიური საკითხების შემსწავლელი ცენტრის დელეგაცია, რომელშიც შევდიოდი მე და ჩვენი ცენტრის ექსპერტი, დეკანოზი **ბასილ კობახიძე**. კიევში შემოგვიერთდა იქაური ქართული სამრევლოს წინამძღვარი, მღვდელი **ნიკოლოზ ინასარიძე**, რომელიც კიევის საპატრიარქოს დაქვემდებარებაშია. ფორუმზე ჩავიტანეთ საქართველოს პარლამენტისა და სახალხო დამცველის ოფიციალური მისალმებები, რომლებიც გამოქვეყნდა 14 დეკემბერს "24 საათში". ქართველი მართლმადიდებლების სახელით ფორუმს დეკანოზი ბასილ კობახიძე მიესალმა უკრაინულ ენაზე, რამაც დამსწრე საზოგადოების განსაკუთრებული აღფრთოვანება გამოიწვია.

ფორუმზე ყოველი გამომსვლელი აღნიშნავდა, რომ მოსკოვი ყოველგვარ ბერკეტს იყენებს, რომ არ დაკარგოს რელიგიური გავლენა უკრაინელ მართლმადიდებლებზე. "გორბაჩოვის იმპერია, საბედნიეროდ, დაიშალა, მაგრამ მოსკოვის პატრიარქის, ალექსი მეორისა კი, საუბედუროდ, — არა", — აღნიშნა თავის გამოსვლაში კიევის პატრიარქმა ფილარეტმა. ცნობილმა უკრაინელმა მწერალმა და უმაღლესი რადას დეპუტატმა, **ივან დრაჩმა** განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმას, როგორ ქადაგებს მოსკოვის საპატრიარქო სეპარატიზმს უკრაინის აღმოსავლეთ რეგიონებში.

**- მაგრამ უკრაინაში ცხოვრობენ ადამიანები, რომლებიც ალალად აღიარებენ რუსეთს მართლმადიდებლობის ცენტრად. მართალია, მათი ეს შეხედულება გულუბრყვილოა და სარწმუნოებრივად არაა გამართლებული, მაგრამ ვფიქრობ, რომ არ შეიძლება მათი ამგვარი რწმენის მკვეთრი უგულებელყოფა.**

- უკრაინის მოსახლეობის დაახლოებით 20 პროცენტი ეთნიკური რუსია. მათ არავინ უშლის, ჰქონდეთ მოსკოვის საპატრიარქოს ეპარქია უკრაინის ტერიტორიაზე. ფორუმის მოთხოვნაა, რომ კიევის საპატრიარქოს უკრაინის დამოუკიდებელი მართლმადიდებელი ეკლესია აღიარებულ იქნეს როგორც კანონიკური სხვა ეკლესიების მიერ. სწორედ ამაზეა საუბარი ფორუმის მიმართვაში მსოფლიო პატრიარქ ბართლომეოს პირველისადმი.

**- რა ოფიციალური დოკუმენტები მიიღო ფორუმმა?**

- ფორუმმა მიიღო მიმართვა პრეზიდენტ იუშჩენკოსა და უკრაინელი ხალხისადმი. ამ დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ შეუძლებელია სრული დამოუკიდებლობა სულიერი დამოუკიდებლობის გარეშე და დაუშვებელია, რომ უკრაინის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი სულიერად ექვემდებარებოდეს სხვა სახელმწიფოში არსებულ ცენტრს.

**- სხვა რამ საზოგადოებრივი რეზონანსი მოჰყვა თქვენს კიევში ჩასვლას?**

- ფორუმის გახსნის საღამოს დეკანოზი ბასილ კობახიძე მიიწვიეს ტელეკომპანია "მეხუთე არხის", ნარინჯისფერი რევოლუციის ტელევიზიის პირდაპირ ეთერში, სადაც მან აღნიშნა, რომ შეუძლებელია, ქართველი მართლმადიდებელი მხარს არ უჭერდეს უკრაინის ეკლესიის დამოუკიდებლობას, რადგან XX საუკუნის დასაწყისში ჩვენც იგივე გზა გავიარეთ. ჩვენმა ცენტრმა უკრაინაში ჩაიტანა კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდე ოქროპირიძის ისტორიული ეპისტოლე მოსკოვის პატრიარქ ტიხონ ბელავინისადმი, სადაც იგი აქარწყლებს მოსკოვის საპატრიარქოს პრეტენზიებს საქართველოს ეკლესიის დამონებაზე. ამ ეპისტოლემ დიდი ინტერესი გამოიწვია და გამოიცემა მისი უკრაინული თარგმანი.

გარდა ამისა, უკრაინის მეცნიერებათა აკადემიამ და რელიგიურ საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა მოაწყვეს ერთობლივი კონფერენცია "კონფესიათა შორისი ურთიერთობები უკრაინასა და პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში". ჩვენ აქაც მივიღეთ მონაწილეობა და წარვადგინეთ მოხსენება "კონფესიათა შორისი ურთიერთობები საქართველოში ვარდების რევოლუციის შემდეგ", სადაც აღინიშნა, რომ ხელისუფლებაში **მიხეილ სააკაშვილის** გუნდის მოსვლამ მკვეთრი პოზიტიური ცვლილება შეიტანა რელიგიურ სფეროში, უპირველეს ყოვლისა, აღკვეთა ფიზიკური ძალადობა რელიგიურ ნიადაგზე.

და კიდევ ერთი განსაკუთრებული სიხარული: დეკანოზი ბასილ კობახიძე და მე კიევისა და სრულიად უკრაინის პატრიარქმა, უწმინდესმა ფილარეტმა დაგვაჯილდოვა წმინდა მოციქულთასწორ მთავარ ვოლოდიმირ დიდის საეკლესიო ორდენებით. დაჯილდოების სიგელში ნათქვამია: უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მსოფლიო მართლმადიდებლობის მიერ აღიარებაში წვლილისათვის. მართლაც, ჩვენი ცენტრი დაარსების დღიდან მუშაობს უკრაინის რელიგიურ საკითხებზეც, აქტიური თანამშრომლობა გვაქვს უკრაინის გრიგოლ სკოვოროდას სახელობის ფილოსოფიის ინსტიტუტთან, უკრაინის რელიგიათმცოდნეების ასოციაციასთან და სხვადასხვა კონფესიის ლიდერებთან. ორმაგად სასიხარულოა, რომ ჩვენ ვართ პირველი ქართველები, რომლებმაც მიიღეს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ჯილდოები, რაც საპატიოა არა მარტო ჩვენთვის, არამედ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და სრულიად საქართველოსათვის.

**- მართალია, ამაზე ბევრჯერ დამიწერია, მაგრამ შენმა ბოლო სიტყვებმა ერთგვარი მხარდაჭერის მიღების სურვილი გამიღვიძა... ამ ფორუმზე ჩვენი საპატრიარქოს რეაქცია როგორი იყო, ან თუ იყო საერთოდ?**

- სამწუხაროდ, არავითარი რეაქცია არ ყოფილა. სხვა რამე კი ნამდვილად უნდა აღინიშნოს: ნოემბრის ბოლოს ნარინჯისფერი რევოლუციის წლისთავის ზეიმის "გადასაფარავად" მოსკოვის იურისდიქციაში მყოფი ეკლესიის მიტროპოლიტმა **ვლადიმერ საბოდანმა** საბჭოთა ტრადიციებში ზარ-ზეიმით აღნიშნა საკუთარი დაბადებიდან სამოცდამეათე წლისთავი. ამ ერთობ "მნიშვნელოვან" ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს საპატრიარქოს საკმაოდ წარმომადგენლობითმა დელეგაციამ. იძულებული ვარ შევნიშნო, რომ ჩვენი იერარქიის პოლიტიკური და სულიერი ხედვა ჯერ ვერ ასცილებია მოსკოვური ცენტრიდან წამოსული მარტივი დირექტივების ასრულების დონეს.

## როცა მთავრობა ერთობა

თამარ მაისურაძე

საქართველოს პრეზიდენტსა და მთავრობას 65 მილიონი ლარი აქვს გახარჯული. ამ ინფორმაციას "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წარმომადგენლები ავრცელებენ, რომელთაც პროექტის - "საქართველოს მთავრობა თაკარა მზის ქვეშ" - ფარგლებში სახელმწიფოს სარეზერვო ფონდების ფინანსური მონიტორინგი ჩაატარეს, შედეგებზე კი "ქორთიარდ მერიოტში" გუშინ ისაუბრეს.

პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან მიზნობრივად მხოლოდ 0,01 პროცენტი დაიხარჯა, ხოლო საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან - მხოლოდ 4 პროცენტი.

ახალგაზრდა იურისტები შეშფოთებას გამოთქვამენ იმ ფაქტის გამო, რომ სტიქიური უბედურებისგან დაზარალებული ადამიანებისთვის განკუთვნილი თანხები პრეზიდენტისა და მთავრობის მიერ, კანონის დარღვევით, არამიზნობრივად იხარჯება. გარდა ამისა, "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" ინფორმაციის თავისუფლების მდგომარეობას საქართველოში სავალალოს უწოდებს. **"არ არსებობს ინფორმაციის თავისუფლების კონტროლის მექანიზმი, არ არის უზრუნველყოფილი საზოგადოების მონაწილეობა მისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ეს კი იმას ადასტურებს, რომ "ვარდების რევოლუციის" შემდეგ სახელმწიფოს ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ხარისხმა მნიშვნელოვნად იკლო,"** - აღნიშნავენ იურისტები.

**"საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან სახსრები გამოიყოფა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ისეთი საგანგებო შემთხვევებისთვის, როგორიცაა ბუნებრივი და სხვა სახის კატასტროფები და გაუთვალისწინებელი სახელმწიფოებრივი ვალდებულებები. აღნიშნული სახსრები გამოიყოფა წლიური საბიუჯეტო კანონით განსაზღვრული მოცულობებისა და პირობების შესაბამისად,"** - წერია კანონში "2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ."

როგორც ახალგაზრდა იურისტების წევრმა თამარ კორძაიამ განაცხადა, აღნიშნული ფონდებიდან გათვალისწინებული თანხები, მიწისძვრითა და ბუნებრივი კატასტროფების შედეგად დაზარალებულთა დახმარების ნაცვლად, გასართობ ღონისძიებებსა და უცხოელი სტუმრების ოფიციალურ ვიზიტებზე იხარჯებოდა. **"ყოველი სტიქიური უბედურების შემდეგ გუბერნატორი თუ სხვა პასუხისმგებელი პირი პრეზიდენტის ადმინისტრაციას ზარალის ოდენობის შესახებ განაცხადს წარუდგენდა. პრეზიდენტი კი 2-3 დღეში თანხებს აბსოლუტურად სხვა მიზნებისა და პრობლემების მოსაგვარებლად განკარგავდა,"** - განაცხადა მან.

"ახალგაზრდა იურისტების" წარმომადგენლის ნინო ლომჯარიას განცხადებით, გარემოს დაცვის სამინისტრო ყოველწლიურად აკეთებს პროგნოზს მოსალოდნელი სტიქიური უბედურებების შესახებ. **"ამ ინფორმაციას ხელისუფლებაც ფლობდა და ვალდებული იყო, ბიუჯეტში გაეთვალისწინებინა,"** - დასძინა ლომჯარიამ.

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" ყოფილი თავმჯდომარე თინა ხიდაშელი აცხადებს, რომ კანონი პირდაპირ არეგულირებს ფონდების მიზნებსაც და დასახარჯი თანხის რაოდენობასაც. **"დღეს 65 მილიონით მეტია დახარჯული, აქედან ყველაზე დიდი წილი ძალოვნების დაფინანსებაზე, ძირითადად, შს სამინისტროზე და სხვადასხვა ტიპის გასართობ ღონისძიებებზეა დახარჯული,"** - აცხადებს იგი.

იურისტების მიერ ჩატარებული ფინანსური მონიტორინგის მიხედვით, ძალოვანი სტრუქტურებისთვის დაახლოებით 27 მილიონი ლარი, გასართობ ღონისძიებებზე - 4,5 მილიონი, ხოლო ვიზიტებზე კი 2.4 მილიონი ლარი გამოიყო. პარლამენტის წევრთა სამივლინებო ხარჯებში პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 84 ათას 232 ლარი დაიხარჯა. **"ხელისუფლებამ წლევანდელი 26 მაისი ფორსმაჟორად მიიჩნია და პრეზიდენტმა და მთავრობამ თავიანთი ფონდებიდან 26 მაისის ღონისძიებები 358 ათას 263 ლარით დააფინანსა. ამა წლის 22 ივლისს უკრაინის პრეზიდენტის ვიზიტი 270 ათას 989 ლარი დაჯდა, ხოლო ვარდების რევოლუციის ორი წლისთავის აღნიშვნა - 306 ათას 296 ლარი,"** - აცხადებენ ახალგაზრდა იურისტები და იმედს იტოვებენ, რომ გახარჯული მილიონების ბედს პარლამენტი და კონტროლის პალატა გაარკვევს.

# მედიალანჩი სომელიების თანხლებით

*"ჯი ემ სი ჯგუფისა" და "თელიანი ველის" ორგანიზებით, გუშინ რესტორან "ძველ სახლში" მედიალანჩი მოეწყო, სახელწოდებით "ღვინო კი არა, მზე არის..." "ძველ სახლში" მიწვეულ ქართული მედიის წარმომადგენლებს ღვინის შეთავაზების ხელოვნება, სომელიების ოსტატობა, ღვინის დეგუსტაცია, ღვინოსთან დასაგემოვნებლად შერჩეული სადეგუსტაციო მენიუ და სასიამოვნო მუსიკა დახვდათ.*

**"დღეს, "თელიანი ველი" მედიას, გარკვეულწილად, ანგარიშს აბარებს. ჩვენმა კომპანიამ "ჯი ემ სი ჯგუფთან" ერთად სომელიეს სკოლა გახსნა, რომელიც ღვინის სპეციალისტებს ამზადებს. ასეთი სპეციალისტები ნებისმიერ რესტორანში უნდა იყოს,"** - განაცხადა "თელიანი ველის" დირექტორმა გიო ხუციშვილმა "24 საათთან" საუბარში. როგორც მანვე აღნიშნა, სომელიეს სკოლა საქართველოში პირველად, მიმდინარე წლის ზაფხულში გაიხსნა და კურსები წარმატებული რესტორნების მენეჯერებმა, ბარმენებმა და მიმტანებმა გაიარეს.

**"ძველმა სახლმა", ტრადიციულად, წინა პლანზე წამოწია ქართული სუფრის უნიკალური ფენომენი. ეს კი, თავის მხრივ, წარმოუდგენელია ღვინის გარეშე. თავად ღვინის ბოთლის გახსნა და ბოკალში ჩამოსხმაც თავისებური ხელოვნებაა. სწორედ ასეთ ხელოვანს წარმოადგენს სომელიე, რომელიც ისეთივე სიფაქიზით უხსნის სტუმარს ღვინის ღვთაებრიობას, როგორი რუდუნებითაც ქართველი კაცი ვენახს უვლის. სპეციალურად დღევანდელი დღისთვის, ღვინის დასაგემოვნებლად სადეგუსტაციო მენიუ მოვამზადეთ,"** - განაცხადა მედიალანჩის მეორე ორგანიზატორის "ჯი ემ სი ჯგუფის" პიარმენეჯერმა მაკო ჯაოშვილმა.



ღვინის საუკეთესო სპეციალისტის ნომინაციაში ოთხმა სომელიემ, მათ შორის, რესტორან "ძველი სახლის" ღვინის სპეციალისტმა ოლეგ აფანასიევმა და გაზეთ "მესინჯერის" ფოტოკორესპონდენტმა გია ჯაველიძემ გაიმარჯვეს.

სანახაობრივი პროგრამა-კონკურსი სამარკო ღვინის სახეობის ამოცნობას, ღვინის ბოთლიდან საცობის მოხსნის მოხერხებულობას და ჩამოსხმის ხელოვნებას ითვალისწინებდა. სომელიეებს ოსტატობისთვის "ჯი ემ სი ჯგუფისა" და "თელიანი ველისგან" დაწესებული სუვენირები გადაეცათ.

საკონკურსო ნომინაციებში მოწვეული ჟურნალისტებიც დაჯილდოვდნენ. სტუმრებმა ამა თუ იმ კერძის შესაფერისი ღვინის სახეობა წარმატებით ამოიცნეს.

შეხვედრას მუსიკალურად "ძველი სახლის" მომღერალთა ბენდი აფორმებდა. გარდა ამისა, მედიალანჩზე სასიამოვნო განწყობას მომღერალ გიო ხუციშვილის მიერ შესრულებული სიმღერები ქმნიდა.

*24 საათი*

## ბაგაფშმა და კოკოითმა მოსკოვში შეხვედრა გამართეს

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკების პრეზიდენტებმა სერგეი ბაგაფშმა და ედუარდ კოკოითმა მოსკოვში შეხვედრა გამართეს.

ბაგაფში-კოკოითის შეხვედრაზე მხარეებმა ახალი რეალიების გათვალისწინებით, ცხინვალსა და სოხუმს შორის ურთიერთობების საკითხები განიხილეს. ახალ წლამდე ედუარდ კოკოითთან შეხვედრის შესახებ განცხადება სერგეი ბაღაფშმა 17 დეკემბერს, სანკტ-პეტერბურგში გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა. როგორც მან აღნიშნა, "სამხრეთ ოსეთში" საომარი მოქმედებების დაწყების შემთხვევაში, აფხაზეთი ქართულ მხარესთან მიმდინარე სამშვიდობო მოლაპარაკებებს შეწყვეტს და ცხინვალს დაეხმარება.

"საქართველოს მხრიდან სამხრეთ ოსეთში საომარი მოქმედებების დაწყების შემთხვევაში აფხაზეთი ამ პროცესებში ცხინვალის სასარგებლოდ ჩაერევა," - დასძენს ბაგაფში. დე ფაქტო პრეზიდენტის მტკიცებით, იმის გათვალისწინებით, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებულ აუღიარებელ რესპუბლიკებს და მათ ლიდერებს ერთნაირი პრობლემები აქვთ გადასაწყვეტი, იგი სამხრეთ ოსეთის, დნესტრისპირეთისა და მთიანი ყარაბაღის პრეზიდენტებთან აქტიურად თანამშრომლობს და "საშიშროების შემთხვევაში" თანამებრძოლებს ბედის ანაბარა არ მიატოვებს.

*ინტერპრესნიუსი*

მოკლედ

# ჩრდილოეთ კორეა ძლიერდება და თავდაცვისთვის ემზადება

ჩრდილოეთ კორეა საკუთარი სუვერენიტეტის დასაცავად თავდაცვის პოტენციალს, მათ შორის, ბირთვული შეკავების ძალებს გააძლიერებს, - სააგენტო "იტარ-ტას"-ის ცნობით, ამის შესახებ ნათქვამია ჩრდილოეთ კორეის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის განცხადებაში.

განცხადების მიზეზი გახდა აშშ-ს მიერ მიღებული რეზოლუცია, რომელიც ჩრდილოეთ კორეაში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებს გმობს. თავის მხრივ, ფხენიანმა ვაშინგტონი საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევაში დაადანაშაულა.

ჩრდილოეთ კორეის საგარეო პოლიტიკური უწყების აზრით, ვაშინგტონი "მოგონილი საბაბებით" დამოუკიდებელ სახელმწიფოებში იჭრება, რითიც საერთაშორისო კანონებს არღვევს.

**"აშშ, რომელმაც ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ ფსიქოლოგიური ომი გააჩაღა, მარცხისთვისაა განწირული. კორეული ნიმუშის სოციალიზმი საკმაოდ ძლიერია და ვაშინგტონის ზეწოლით არ დაეცემა,"** - აღნიშნა ჩრდილოეთ კორეის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა.



*საკუთარი სუვერენიტეტის დასაცავად ფხენიანი თავდაცვის პოტენციალს, მათ შორის, ბირთვული შეკავების ძალებს გააძლიერებს.*

აღსანიშნავია, რომ აშშ-სა და ჩრდილოეთ კორეას შორის ურთიერთობები ბოლო დროს განსაკუთრებით დაიძაბა. მიუხედავად ამისა, ამერიკელი ანალიტიკოსები აშშ-ს მთავრობას კვლავაც მოუწოდებენ, კომუნისტური კორეის მიმართ აამოქმედოს პროგრამები, რომელთაც თავის დროზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ბირთვული საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

პროგრამის ფარგლებში, რომლის სახელია - "თანამშრომლობა საფრთხის შესამცირებლად", ვაშინგტონმა ფხენიანს ეკონომიკური და პოლიტიკური გარანტიები უნდა მისცეს, ხოლო, სანაცვლოდ, კორეის სახალხო დემოკრატიულმა რესპუბლიკამ მასობრივი განადგურების იარაღზე უნდა თქვას უარი. აშშ-ს ხელისუფლება აღნიშნული პროგრამის ამოქმედებას ჯერჯერობით არ ჩქარობს, მით უმეტეს, რომ 90-იანი წლების ბოლოს ბილ კლინტონის მმართველობის დროს ასეთმა ტაქტიკამ მარცხი განიცადა.

შეგახსენებთ, ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის შესახებ ექვსმხრივი მოლაპარაკების მორიგი რაუნდი აშშ-ს, რუსეთის, ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის, ჩინეთის და იაპონიის წარმომადგენელთა მონაწილეობით ნოემბერში უშედეგოდ დასრულდა. მოლაპარაკების მონაწილეები კიდევ ერთი შეხვედრის შესახებ შეთანხმდნენ, თუმცა მისი თარიღი ჯერჯერობით დადგენილი არ არის.

*24 საათი*

## არიელ შარონი პოლიტიკიდან წასვლას არ აპირებს

გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ისრაელის პრემიერ-მინისტრის არიელ შარონის ჯანმრთელობის მდგომარეობა, გადატანილი მიკროინსულტის შემდეგ, ოდნავ გაუმჯობესდა. ექიმების თქმით, პრემიერის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

**"დღეს მას დამატებით სამედიცინო გამოკვლევა ჩაუტარდება, რომლის შედეგების მიხედვით იქნება მიღებული გადაწყვეტილება შემდგომი მკურნალობის შესახებ,"** - ნათქვამია მთავრობის პრესსამსახურის მიერ გუშინ გავრცელებულ განცხადებაში.

მიკროინსულტის მიუხედავად, ისრაელის პრემიერ-მინისტრი არიელ შარონი უახლოეს მომავალში პოლიტიკიდან წასვლას არ აპირებს, - ამის შესახებ გუშინ შარონმა რადიოსადგურ "გალეი ცაჰალისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

შეგახსენებთ, კვირას საღამოს 77 წლის არიელ შარონმა სამუშაო ადგილზე გონება დაკარგა და ის საავადმყოფოში მოათავსეს. ექიმებმა მას მიკროინსულტის დიაგნოზი დაუსვეს. პრემიერის თავის ტვინის გამოკვლევამ ნორმიდან სერიოზული გადახრები არ უჩვენა და საავადმყოფოს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ შარონს ქირურგიული ჩარევა არ დასჭირდება. ვარაუდობენ, რომ ისრაელის მთავრობის მეთაური კლინიკაში რამდენიმე დღეს დაჰყოფს.

შარონის ავადმყოფობის შესახებ ინფორმაციამ არაერთმნიშვნელოვანი რეაქცია გამოიწვია. ისრაელის ხელმძღვანელებმა და პალესტინის ავტონომიის მეთაურმა მაჰმუდ აბასმა მას უსწრაფესი გამოჯანმრთელება უსურვეს. რიგითმა პალესტინელებმა კი ამასთან დაკავშირებით სტიქიური ზეიმი გამართეს. თავის მხრივ, შარონის მიმართ მტრულად განწყობილი ზოგიერთი ებრაელი რადიკალი, ღმერთს ევედრება, "მოძულებული" პრემიერი თავისთან წაიყვანოს.


ნაუტილუსი

- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

"ნაუტილუსი" აცხადებს მნიშვნელოვან საახალწლო **ფასდაკლებას (25% - 50%)** "წონაში კლების და გაჯანსა-ღების" ახალ პროგრამაზე და ფიტნეს კლუბ "ნაუტილუს"-ში.

მისამართი: ი.ჭავჭავაძის 78
ტელ: 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge
Web-site: www.nautilus.ge


# ამერიკა "სულელურ შეცდომას" არ დაუშვებს

პირველი გვერდიდან

ბუშის თქმით, მსოფლიოში არსებული ტერორისტული ქსელის საზღვრები საკმაოდ ფართოა და შესაბამისად, მასთან ბრძოლის არეალიც "გიგანტურ ბრძოლის ველს" წარმოადგენს. **"ვიცი, რომ ზოგიერთმა ჩემმა გადაწყვეტილებამ ცუდი შედეგი გამოიღო, თუმცა, მერწმუნეთ, ამ გადაწყვეტილებათა მიღება იოლი არასდროს ყოფილა. ვალდებულება, ვიყო თქვენი პრეზიდენტი, ნიშნავს იმას, რომ გავაკეთო ის, რისიც მწამს და შესაბამისი შედეგებიც მოვიმკა,"** - აღნიშნა აშშ-ს ლიდერმა.

საგულისხმოა, რომ ბუშმა ტერორისტთა მიერ ერაყში მყოფ ამერიკელ სამხედროთა და მათ მოკავშირეთა დაშინების ფაქტებზეც ისაუბრა. ყველაფრის მიუხედავად, პრეზიდენტმა ამერიკელ ხალხს მხნეობისკენ და ბრძოლის გაგრძელებისკენ მოუწოდა.

ბუშმა აღნიშნა, რომ აშშ და მისი მოკავშირეები ბრძოლის დამთავრებას ჯერჯერობით არ აპირებენ და მოკავშირეთა ერთობლივი ქმედებები ერაყს მშვიდობას მოუტანს. **"კოალიცია ერაყელ ხალხს დემოკრატიულ ინსტიტუტთა აღორძინების საქმეში ისევე ედგება მხარში, როგორც ეს ხუთშაბათს გამართული საპარლამენტო არჩევნების დროს მოხდა,"** - აღნიშნა თეთრი სახლის ლიდერმა. ბუშის თქმით, ერაყში გასულ კვირას გამართული საპარლამენტო არჩევნები ახლო აღმოსავლეთის გულში კონსტიტუციური დემოკრატიის ჩასახვის პირველი ნიშანია, თუმცა, აღნიშნული პოლიტიკური მოვლენა ერაყში ძალადობის დასრულებას ჯერჯერობით არ მოასწავებს. ბუშის მიერ მოყვანილ სტატისტიკურ მონაცემთა მიხედვით, ათი ერაყელიდან შვიდს მიაჩნია, რომ ქვეყანაში არსებული ვითარება სასიკეთოდ იცვლება.

აღნიშნულ ტელემიმართვამდე ბუშმა აღიარა, რომ აშშ-ს ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს სამი წლის წინ, ქვეყნაში განხორციელებულ კერძო სატელეფონო საუბართა და ელექტრონული ფოსტის კონტროლის უფლება მიანიჭა. აშშ-ს პრეზიდენტის გუშინდელი გამოსვლის დროს, ზოგიერთმა კონგრესმენმა პრეზიდენტის ზემოთ აღნიშნულ ქმედებათა კანონიერების საკითხი წამოჭრა. აშშ-ს ლიდერის თქმით, მისი განკარგულების საფუძველზე, რომელიც სასამართლო ორგანოთა ნებართვის გარეშე ამოქმედდა, ბევრი ამერიკელისთვის სიცოცხლის შენარჩუნება გახდა შესაძლებელი.

კონგრესმენთა მიერ კანონდარღვევად მიჩნეული ჯორჯ ბუშუმცროსის განკარგულება, გუშინ აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმაც გაამართლა. ნომერ პირველი ამერიკელი დიპლომატის თქმით, პრეზიდენტს ქვეყნის უსაფრთხოების მიზნით, მსგავსი ნაბიჯის გადადგმის სრული უფლება ჰქონდა.

მოკლედ

### ჟურნალისტ გიორგი ღონღაძის მკვლელობის საქმის წინასწარი მოსმენა იწყება

კიევში დღეს ჟურნალისტ გიორგი ღონღაძის მკვლელობის საქმის წინასწარი მოსმენა იწყება. პროცესი უკრაინის დედაქალაქის სააპელაციო სასამართლოში გაიმართება. პროკურატურა ჟურნალისტის მკვლელობაში სამართალდამცავი ორგანოების ყოფილ თანამშრომელს ვალერი კოსტენკოს, ნიკოლაი პროტასოვს და ალექსანდრე პოპოვიჩს ადანაშაულებს. კიდევ ერთ ბრალდებაზე, უკრაინის შს სამინისტროს ყოფილ მაღალჩინოსანზე ალექსეი პუკაჩზე ძებნაა გამოცხადებული. დანაშაულის დამკვეთები დღემდე დადგენილი არ არიან. ინტერნეტ-გამოცემის "უკრაინსკაია პრავდას" მთავარი რედაქტორი გიორგი ღონღაძე კიევში 2000 წლის სექტემბერში გაუჩინარდა. ერთი თვის შემდეგ ჟურნალისტის თავმოკვეთილი ცხედარი ტყეში აღმოაჩინეს. უკრაინაში პოლიტიკური სკანდალი აგორდა. ოპოზიციამ ღონღაძის მკვლელობასთან კავშირში მაშინდელი პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა და მისი გარემოცვა დაადანაშაულა. გაზეთი, რომელსაც ღონღაძე ხელმძღვანელობდა, სახელმწიფოს მეთაურის პოლიტიკას მკაცრად აკრიტიკებდა. თავად კუჩმა მისთვის წაყენებულ ბრალდებებს უარყოფს.

*ინტერპრესნიუსი*

### თბილისის მერიის საქალაქო სამსახურებში დანაშაული აღმოაჩინეს

თბილისის მერიის კანონიერების დაცვის ინსპექცია აგრძელებს მერიის საქალაქო სამსახურებისა და სახელმწიფო შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოების შემოწმებებს. როგორც კანონიერების დაცვის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელმა დავით საყვარელიძემ განაცხადა, სამსახურის ხელმძღვანელობა თავს იკავებს კონკრეტული დარღვევების გახმაურებისაგან, მანამ, სანამ სამართალდამცავი ორგანოების ამა თუ იმ საწარმოში არსებულ დარღვევებს არ გამოიძიებენ. **"თითქმის ყველა ორგანიზაციაში, რომელიც შემოწმებულია, არის სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები, თუმცა საბოლოო ვერდიქტის გამოტანა სამართალდამცავებს შეუძლიათ"**, - აღნიშნა საყვარელიძემ. მისივე თქმით, თბილისის რაიონული გამგეობების შემოწმება, სავარაუდოდ მომავალი წლიდან დაიგეგმება. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ახლად დანიშნულ მოსამართლეებს სემინარი ჩაუტარეს

ახლად დანიშნულ 33 მოსამართლეს სამოსამართლო სწავლების ცენტრში ორდღიანი სემინარი ჩაუტარდა. იგი ადმინისტრაციულ, სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საკითხებს მიეძღვნა. იმის მიხედვით, თუ ჩამოთვლილიდან რომელი კატეგორიის საქმეებს განიხილავენ, მოსამართლეები სამ ჯგუფად დაჰყვეს. შეხვედრას ადმინისტრაციულ სამართალში უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ნინო ქადაგიძე, სამოქალაქო სამართალში - უზენაესი სასამართლოს მოსამართლე მარიკა ცისკაძე, ხოლო სისხლის სამართალში თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე ზაზა მეიშვილი წარუძღვნენ. სემინარი ევროსაბჭოს დაფინანსებით ჩატარდა. **მედიანიუსი**

### აფრასიძეების სასამართლო პროცესი გადაიდო

ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ძმები აფრასიძეების დაგეგმილი სასამართლო პროცესი გადაიდო. როგორც განსასჯელების ერთ-ერთმა ადვოკატმა ნიკა გორდეზიანმა განაცხადა, ამის მიზეზი არის ის, რომ პროცესის ერთ-ერთი მონაწილე განსასჯელი გოჩა აფრასიძე თვალის ოპერაციის გასაკეთებლად თბილისში არის გადმოყვანილი. ამიტომ იგი სასამართლო პროცესს ვერ დაესწრება. გოჩა აფრასიძე საოპერაციოდ თბილისში ათიოდე დღის წინ ჩამოიყვანეს, თუმცა, ჯერჯერობით უცნობია, რომელ კლინიკაში ჩაუტარდება მას ოპერაცია. ძმები შმაგი და გოჩა აფრასიძეები სამართალდამცველებმა 2004 წლის 24 მარტს მესტიის რაიონის სოფელ ეცერში ჩატარებული სპეცოპერაციის დროს საკუთარ სახლთან დააკავეს. მათი მამა ევგენი აფრასიძე და ძმა ომეხ აფრასიძე სპეცოპერაციის დროს დაიღუპნენ. ძმებს ბრალად სამართალდამცველთათვის წინააღმდეგობის გაწევა, მათი მკვლელობის მცდელობა და იარაღის უკანონოდ შეძენა-ტარება ედებათ. **მედიანიუსი**

### აღმოაჩინეს სუბუტექსი და ჰეროინი

სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს თანამშრომლებმა ბათუმში დააკავეს 51 წლის როსტომ ლორთქიფანიძე, რომელსაც, შს სამინისტროს ინფორმაციით, აღმოაჩნდა 3 აბი სუბუტექსი.გამოძიებას აწარმოებს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის აჭარის სამმართველო. სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს თანამშრომლებმა კი დააკავეს ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ მყოფი, სოფ. ზედა ეწერში მცხოვრები, 39 წლის კობა ჭითანავა, რომლისგანაც ამოიღეს 0,07 გრამი ჰეროინი. იმავე სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ მყოფი, სოფ. კახათში მცხოვრები, 53 წლის ბორის გუგუჩია, რომლისგანაც ამოიღეს 0,58 გრამი ჰეროინი. გამოძიებას შს სამმართველო აწარმოებს. **მედიანიუსი**

**თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს აკადემიურ თანამდებობათა დასაკავებლად**

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტის კადრების განყოფილებას (მისამართი: თბილისი" ბროსეს ქ. N8" საკონტაქტო ტელეფონები: 99-96-88" (899) 51-80-84). აგრეთვე" ინფორმაციის მიღება შეიძლება თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტის ვებ-გვერდზე: www. sent. edu. ge.

კონკურსში მონაწილეთა საბუთები მიიღება 2005 წლის 22 დეკემბრიდან 2006 წლის 3 თებერვლამდე. კონკურსის შედეგები ცნობილი გახდება 2006 წლის 21 თებერვალს.

**სუპერ-ბებია და სუპერ-ბაბუა 2006**

4 იანვარს 15 საათზე "კათარზისის" სათნოების სახლში გაიმართება ხანდაზმულთა მეორე კონკურსი: ცეკვაში, სიმღერაში, სასცენო ხელოვნებაში, თანამედროვე და თეატრალური კოსტუმების ჩვენებაში.

მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საპენსიო ასაკის ქალბატონებსა და მამაკაცებს, რომლებიც არ არიან პროფესიონალი მსახიობები.

დაწესებულია პრემიები. ნომინაციებში გამარჯვებულთაგან ჟიური დაასახელებს სუპერ-ბებია და სუპერ-ბაბუა 2006-ის წოდების მფლობელებს.

მონაწილეობის მსურველები დაგვიკავშირდით "კათარზისში", 30 დეკემბრის ჩათვლით.

მისამართი: დ. აღმაშენებლის 121

ტელეფონი: 95-43-32; 95-77-85 (10 საათიდან 17 საათამდე,შაბათ-კვირის გარდა)

ზაურ-ლაზარე ალადაშვილი ასოციაციის პრეზიდენტი.

# ამერიკის სასამართლოს მიერ გამოტანილი ბოლო სასიკვდილო განაჩენი

პირველი გვერდიდან

სასიკვდილო ინექცია შეიმუშავა ექიმმა სტენლი დოიჩმა და ის შედგება სამი ქიმიური კომპონენტისგან: ერთი - პენტოტალ ნატრია (sodium pentothal) სიკვდილმისჯილში ღრმა ძილს იწვევს; მეორე კომპონენტი - (pancuronium bromide) იწვევს კუნთების პარალიზებას და, საბოლოოდ, potassium chloride-ი აჩერებს გულის მუშაობას. ტეხასის უნივერსიტეტში ჩატარებული საბოლოო ექსპერიმენტის შემდეგ სასიკვდილო მეთოდზე, რომელსაც "ტეხასური კოქტეილი" ეწოდა, თანხმობა გაიცა. აშშ-ს შტატებში სიკვდილმისჯილებს არჩევანის უფლება აქვთ - შეუძლიათ აირჩიონ სასიკვდილო ინექცია, ელექტრო სკამი და დახვრეტაც კი.

ცოტა ხნის წინ აშშ-ში ამ მძიმე სასჯელით 100 ადამიანი დასაჯეს. კალიფორნიის შტატში 640 სიკვდილმისჯილი ელოდება სასიკვდილო განაჩენის სისრულეში მოყვანას. ეს ციფრი მეტად აღემატება აშშ-ს სხვა შტატების მონაცემებს. თუმცა ერთიცაა, კალიფორნიის შტატში სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი იშვიათად მოდის სისრულეში. ამის მიზეზი შტატის გუბერნატორის ჰუმანიზმია. იგი, უმეტეს შემთხვევაში, მისთვის კანონით მინიჭებულ უფლებას იყენებს - სიკვდილმისჯილებს იწყალებს.

სიკვდილით დასჯის შემოღების შემდეგ, 1997 წლიდან დღემდე კალიფორნიის შტატში 10 ადამიანია სიკვდილით დასჯილი. ამ პერიოდშივე შეწყალებულია 11 სიკვდილმისჯილი.

რამდენიმე დღის წინათ, სასიკვდილო განაჩენის შემოღებიდან თითქმის, მეოთხედი საუკუნის გასვლის შემდეგ, განაჩენი სისრულეში მოიყვანეს და სიკვდილით დასაჯეს ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე სახელოვანი სიკვდილმისჯილი, ლოს-ანჯელესის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი ბანდის Crips-ის შემქმნელი, 52 წლის სტენლი "ტუკი" უილიამსი.



უკანასკნელად მისი თხოვნა შეწყალების თაობაზე ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ 13 დეკემბერს უარყო. მანამდე უილიამსისთვის იმედის მიცემაზე უარი თქვეს კალიფორნიის უზენაესმა სასამართლომ, სან-ფრანცისკოს ფედერალურმა სააპელაციო სასამართლომ და თავად კალიფორნიის გუბერნატორმა არნოლდ შვარცნეგერმაც კი.

სტენლი "ტუკი" უილიამსის ბიოგრაფია ნამდვილად ყურადღების ღირსი გახლავთ. იგი ულ-ატაკეს გეტოში დაიბადა, 1981 წელს კი სიკვდილი მიუსაჯეს - 1979 წელს ჩადენილი ძარცვისას 26 წლის გამყიდველის, ალბერტ ოუენსის მკვლელობის გამო.

სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას ბრალდების მხარემ განაცხადა, რომ ბრალდებული სტენლი უილიამსი ხარხარებდა "იმ ბგერებზე, რომელსაც მომაკვდავი ოუენსი გამოსცემდა". სასამართლოს დოკუმენტაციის თანახმად, ამ მკვლელობის შემდეგ უილიამსი, თითქოს, ერთ-ერთ სასტუმროში შევარდა და აზიური წარმომავლობის ორი მფლობელი და მათი ქალიშვილი დაცხრილა.

უნდა აღინიშნოს, რომ თავად სტენლი უილიამსი საკუთარ უდანაშაულობას მთელი ამ ხნის მანძილზე ამტკიცებდა და თავის ერთადერთ დანაშაულად ბანდის Crips-ის შექმნას აღიარებდა.

მიუხედავად ამისა, სხვადასხვა სასამართლო ინსტანციაზე არათუ უილიამსის უარყოფას, არამედ იმასაც კი არ მოუხდენია გავლენა, რომ სახელგანთქმული "ტუკი" სიკვდილის მისჯის შემდეგ ცხრაჯერ წარადგინეს ნობელის პრემიაზე - ხუთჯერ - მშვიდობის, ოთხჯერ კი ლიტერატურული მოღვაწეობის გამო. აღსანიშნავია, რომ უილიამსის ლიტერატურულ ნაწარმოებთა უმრავლესობა მიძღვნილია გეტოებში დაბადებული ახალგაზრდობისთვის იმის დასამტკიცებლად, რომ მათ უარი თქვან დანაშაულებრივ დაჯგუფებებში მონაწილეობაზე.

არცთუ უმნიშვნელოა იმის ხაზგასმა, რომ თვით ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა აღიარა "ტუკის" დამსახურებები - მან იგი დააჯილდოვა პრემიით Call to Service. როგორც პრეზიდენტის მიერ გაგზავნილ წერილში იყო ნათქვამი, ეს ჯილდო პატიმარს იმისთვის არგუნეს, რომ მან, გისოსებს მიღმა მყოფმა, "მრავალი კეთილი საქმით საზოგადოებას ნამდვილი ამერიკული ხასიათი აჩვენა".

მართლაც, დაპატიმრებიდან სიკვდილით დასჯამდე, მთელი 25 წლის მანძილზე "ტუკიმ" დაამტკიცა, რომ ის სხვა ადამიანი გახდა. მის დასაცავად აღსდგა ჰოლივუდიც - მისი ცხოვრების ისტორია საფუძვლად დაედო 2004 წელს გადაღებულ ფილმს, რომელშიც მთავარი როლი "ოსკარის" პრემიის ლაურეატმა ჯემი ფოქსმა შეასრულა. მაგრამ ეს ყველაფერი თავად ტუკი უილიამსს ვერ დაეხმარა თავიდან აეცილებინა სიკვდილით დასჯა.

არადა, მისი ისტორიის ამსახველმა მხატვრულმა ფილმმა ათასობით ამერიკელი ახალგაზრდა აიძულა, სტენლი უილიამსისთვის მიეწერათ წერილები, რომელთა თანახმადაც, პატიმრობაში მყოფმა "ტუკიმ" ისინი დაარწმუნა, მიეტოვებინათ განგსტერული ბანდები და ნორმალური ცხოვრების წესით ეცხოვრათ.

მიუხედავად ყველაფრისა, სტენლი უილიამსი რამდენიმე დღის წინ მაინც დასაჯეს. კალიფორნიის შტატის ჰუმანიზმით გამორჩეულმა გუბერნატორმა ის არ შეიწყალა, დაუტოვა მხოლოდ არჩევანის უფლება - სტენლი უილიამსი სიცოცხლეს სასიკვდილო ინექციით დაემშვიდობა.

# აფხაზები ქართველ წვევამდელებზე ნადირობას განაგრძობენ

გავრცელებული ინფორმაციით, აფხაზმა სეპარატისტებმა გალის რაიონის სოფლებში - ნაბაკევში, ბარღებსა და თაგილონში 150-კაცამდე დამატებითი შეიარაღებული რაზმი შეიყვანეს. ამ დაჯგუფებას აფხაზი კრიმინალის, ვლადიმირ ბუთბას დაჯგუფების ყოფილი წევრი, ვინმე "ფრანცეზი" ხელმძღვანელობს. ინფორმაციის თანახმად, აღნიშნული რაზმის მიზანია გალში მცხოვრები ქართველი წვევამდელების იძულებით გაწვევა აფხაზეთის შეიარაღებულ ძალებში. თუმცა, გალის ქართული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილემ ბიძინა გაბისონიამ აღნიშნული ინფორმაცია არ დაადასტურა.

**"150-კაციანი დამატებითი რაზმის გალში შეყვანის ცნობა ჭორის დონეზე ვრცელდება, თუმცა მთლიანობაში, გალის რაონში რთული კრიმინოგენული ვითარებაა. ბევრი დაჯგუფება დათარეშობს, ხოლო სეპარატისტული ხელისუფლება ქართველ წვევამდელებზე ზეწოლას მართლა ახორციელებს"**, - აცხადებს ბიძინა გაბისონია.

გალის ქართული ადმინისტრაციის მონაცემებით, სეპარატისტების შეიარაღებულ ძალებში ამჟამად, ოცზე მეტი ქართველი ახალგაზრდაა გაწვეული. ზოგიერთი წვევამდელი გალის ტერიტორიიდან გარბის და თავს ზუგდიდის რაიონს აფარებს. მათ ოჯახებს კი აფხაზი სეპარატისტები ემუქრებიან, რომ თუკი წვევამდელები კომისარიატებში არ გამოცხადდებიან, ოჯახს გალის რაიონიდან გააძევებენ.

*მედიანიუსი*

# ფინანსურმა პოლიციამ ჯანმრთელობისთვის საშიში "ბორჯომი" ამოიღო

ფინანსური პოლიციის იმერეთის სამმართველომ ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიში პროდუქციის დამზადების და ასეთ პროდუქციაზე სხვისი სამარკო ეტიკეტის გამოყენების ფაქტზე წინასწარი გამოძიება დაიწყო. როგორც ფინანსური პოლიციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განაცხადეს, საქმეში ეჭვმიტანილია ამირან ჩადუნელი, რომელიც ფინანსურმა პოლიციამ სატვირთო ავტომანქანასთან ერთად ზესტაფონში დააკავა.

მას რეალიზაციის მიზნით გადაჰქონდა "ბორჯომის" ეტიკეტიან 500 ცალ ნახევარლიტრიან ბოთლში ჩამოსხმული გაზირებული სითხე.

ფინანსურმა პოლიციამ აღნიშნული სითხის ექსპერტიზა სერტიფიკაციის ორგანო "გამას" ჩაატარებინა, რის შედეგადაც გაირკვა, რომ სითხე მინერალური წყლის "ბორჯომის" სტანდარტის მოთხოვნას არ აკმაყოფილებს. ნიმუში მიკრობიოლოგიურადაც დაბინძურებულია და მასში ნაწლავის ჩხირის ჯგუფის ბაქტერიები დასაშვებ ნორმაზე მეტია. გარდა ამისა, ბოთლზე მიკრული "ბორჯომის" ეტიკეტი არ არის რეგისტრირებული არც ერთი ლეგალური მწარმოებლის მიერ.

ამ ეტაპზე წინასწარი გამოძიება ფინანსურ პოლიციაში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 198-ე მუხლით დაიწყო, რაც ადამიანის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის საშიში პროდუქციის დამზადებას გულისხმობს.

*ინტერპრესნიუსი*

**უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი**

______________________________

**ა ნ კ ე ტ ა**

**სახელი, გვარი**...............

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**...............

**საკონტაქტო ტელეფონი**...............

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (ღრმაღელე);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "ელექტროდეპო");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფლფინის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77. იურიდიული ოფისი "გაპი".




- თითოეული მუხლის კომენტარი
- ციტატები მომიჯნავე კანონებიდან
- ხარვეზები და წინააღმდეგობები
- ლაბირინთები და ხაფანგები
- პრაქტიკული მაგალითები და რჩევები

**მეწარმის სამაგიდო წიგნი**

მომზადდა და გამოიცა საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციაში, ევრაზიის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. კომენტარების შესაძენად მიაკითხეთ სასალო ქსელს ან ფედერაციას: წერეთლის 61, ტელ. 35 01 57; 35 43 97; 35 67 56.

# მოულოდნელი სამშვიდობო ინიციატივა

*შეუძლია თუ არა სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის მოწოდებას მომაკვდავი სამშვიდობო პროცესისთვის ახალი სუნთქვის შთაბერვა?*

ირინა კელეხსაევა,
ცხინვალი

სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით სამშვიდობო პროცესი მას შემდეგ გამოცოცხლდა, რაც მოულოდნელად ედუარდ კოკოითიმ კონფლიქტის მოსაგვარებლად ახალი ერთობლივი სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბების შესახებ ახალი ინიციატივა წარადგინა.
თუმცა დამკვირვებელთა უმრავლესობას ეჭვი ეპარება, რომ სამხრეთ ოსეთის ლიდერის 13 დეკემბერს გამოქვეყნებული წერილი კონფლიქტის მოგვარების საკითხში გარდატეხას შეიტანს.
,,კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით ცალმხრივად შემუშავებულმა გეგმებმა აქამდე ვერავითარი შედეგი მოიტანა. ამიტომ აუცილებლად მიმაჩნია ქართულ-ოსური პროგრამის შემუშავება კონფლიქტის სამართლიანად დარეგულირებისთვის საჭირო ნაბიჯების გადასადგმელად", – წერს კოკოითი რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტების – პუტინისა და სააკაშვილისადმი, ასევე ეუთო-ის წევრი ქვეყნებისადმი მიმართულ წერილში. კოკოითიმ ქართულ მხარეს მომავალი წლის 1 თებერვლიდან ახალი სამუშაო ჯგუფის შექმნა შესთავაზა. ამ წინადადებას, რომელიც შესაძლოა ორ მხარეს შორის ახალი დიალოგის დასაწყისი გახდეს, ბევრი მიესალმა.
თუმცა კოკოითის წერილმა გაკვირვებაც გამოიწვია – განსაკუთრებით, სამხრეთ ოსეთში შემოდგომაზე სიტუაციის დაძაბვის ფონზე, როცა ადამიანთა გატაცებისა და მკვლელობის არაერთი შემთხვევა დაფიქსირდა. მეტიც, სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებამ მაშინ მთლიანად უარყო ქართული მხარის მიერ შეთავაზებული სამშვიდობო გეგმა, რომლის შემუშავებაშიც სამხრეთ ოსეთს მონაწილეობა არ მიუღია.
კოკოითის წერილი იმედის მომცემია, რადგან მასში მშვიდობის მისაღწევად გადასადგმელ კონკრეტულ ნაბიჯებზეა საუბარი. სამხრეთ ოსეთის ლიდერი სამშვიდობო პროცესს სამ ფაზად ჰყოფს. მისი აზრით, კონფლიქტის მოგვარება, პირველ რიგში, ზონის დემილიტარიზაციითა და მოსახლეობისთვის უსაფრთხოების გარანტიების შექმნით უნდა დაიწყოს. უნდა ჩამოყალიბდეს სოციალურ-ეკონომიკური რეაბილიტაციის პროგრამა. და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დაიწყოს საუბარი პრობლემის პოლიტიკურ მოგვარებაზე. ქართული მხარისგან განსხვავებით, კოკოითი რეგიონის სტატუსის პრობლემას არ ახსენებს.
ახალი ინიციატივა ახალ ამბიციურ იდეასაც ითვალისწინებს – საუბარია ეკონომიკური აღმავლობის ზონის შექმნაზე, რომელიც სამხრეთ ოსეთის გარდა, ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის ალაგირის რეგიონსა და გორის რაიონსაც მოიცავს.
ახალი გეგმის გამოქვეყნებისთანავე გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა ეს ინიციატივა მოიწონა და განაცხადა, რომ ის შემოდგომაზე წარმოდგენილი ქართული პროგრამის ,,თითქმის იდენტურია". თუმცა, ნოღაიდელმა ხაზი გაუსვა, რომ ქართული მხარე აუცილებლად მიიჩნევს, პარალელურად მოლაპარაკებები სამხრეთ ოსეთის პოლიტიკური სტატუსის შესახებაც მიმდინარეობდეს. ასეთი მიდგომა კი ცხინვალისთვის მიუღებელია.
,,ჩვენ ყველა მხარეს საკითხების ნაბიჯ-ნაბიჯ მოგვარებისკენ მოვუწოდებთ", – განუცხადა IWPR-ს სამხრეთ ოსეთის საგანგებო დავალებათა მინისტრმა, ბორის ჩოჩიევმა, რომელიც საქართველოსთან მოლაპარაკებების პროცესს ხელმძღვანელობს.
,,იმედი ვიქონიოთ, რომ პირველსავე ნაბიჯზე არ წავიბორძიკებთ. ასეთ შემთხვევაში არავის უნდა ჰქონდეს ილუზია, რომ შემდგომი ნაბიჯის გადადგმას შევძლებთ. სიჩქარემ შესაძლოა, დაგვარღვევინოს შეთანხმებები, რომლებსაც უკვე მივაღწიეთ", – დასძინა მან.
ზოგიერთი ქართველი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ისეთი მწვავე პოლიტიკური საკითხების დროზე ადრე დასმა, როგორიცაა სტატუსი და სუვერენიტეტი, შესაძლოა, საზიანო იყოს.
,,მიმაჩნია, რომ პოლიტიკური სტატუსის საკითხის წამოჭრა და დისკუსია მოლაპარაკებათა ყველა დანარჩენ ასპექტს საფრთხეს შეუქმნის", – განაცხადა პოლიტოლოგმა პაატა ზაქარეიშვილმა.
,,ჯერ საჭიროა ეკონომიკური საკითხების მოგვარება, ნდობის აღდგენა. პოლიტიკური სტატუსის საკითხის მოგვარებას ამის გარეშე მაინც ვერ შევძლებთ", – აღნიშნა მან.
ბოლო წლების განმავლობაში პირველად კონფლიქტის მხარეებმა ერთობლივი მუშაობის დაწყების განზრახვის შესახებ იდენტური პოზიცია დააფიქსირეს. ნოღაიდელმა ოსურ მხარეს სამუშაო ჯგუფის 1 თებერვლამდე ჩამოყალიბებაც კი შესთავაზა. თუმცა, კოკოითიმ ახალი ინიციატივა კონფლიქტის ზონაში დაძაბულობის ზრდის ფონზე წარადგინა.
დაძაბულობის ესკალაცია ნოემბერსა და დეკემბერში ადამიანთა გატაცებებისა და სროლების ათეულობით შემთხვევამ გამოიწვია. ზოგის აზრით, სიტუაციის გართულება პოლიტიკურად მოტივირებული იყო, ზოგის აზრით, კი, ყოველივე ეს უბრალო კრიმინალური გარჩევების შედეგია.
,,ერთი წლის წინ, როცა ცხინვალის ჩრდილოეთ შესასვლელში სანგრებს თხრიდნენ, მათ სანახაობა მოაწყვეს. ტელეკამერებისთვის მუშაობდნენ და ამით დამთავრდა ყველაფერი. ამ სანგრებში ახლაც ხალხი ზის – ოსებიც და ქართველებიც, და ზონას პატრულირებენ", – სკეპტიკურად გვითხრა ცხინვალის ერთ-ერთმა მკვიდრმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა.
მას მხედველობაში ჰქონდა გასული წლის ნოემბერში ორ მხარეს შორის გაფორმებულ დეკლარაცია, რომლის თანახმადაც, მხარეებს კონფლიქტის ზონიდან შეიარაღებული შენაერთები უნდა გამოეყვანათ. დეკლარაციის მიღება 2004 წლის ზაფხულში მდგომარეობის ესკალაციას მოჰყვა.
მაშინ კონფლიქტის ზონაში ორივე მხრიდან ასობით შეიარაღებული პირი იყო კონცენტრირებული. ორივე მხარე ერთმანეთს 1992 წლის შეთანხმების დარღვევაში ადანაშაულებდა, რომლის თანახმადაც, კონფლიქტის ზონაში მხოლოდ სამშვიდობო ძალები უნდა დარჩენილიყვნენ.
2004 წლის 20 ნოემბრის შეთანხმების თანახმად კონფლიქტის ზონის სრული დემილიტარიზაცია უნდა მომხდარიყო. მაგრამ ეს შეთანხმება მხოლოდ ნაწილობრივ შესრულდა. რეგიონში ,,არალეგალური შეიარაღებული ფორმირებების" არსებობაში დღემდე ორივე მხარე ერთმანეთს ადანაშაულებს.
სამხრეთ ოსეთის მაცხოვრებლები ქართული მხარის მიერ გაჩაღებული ,,საინფორმაციო ომის" შესახებაც ჩივიან. ნოემბერში სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მაუწყებლობა დაიწყო ახალმა ქართულმა ტელეარხმა ,,ალანია", რომელმაც ადგილობრივი მოსახლეობის აღშფოთება გამოიწვია. მათი აზრით, ეს არხი ადგილობრივ ლიდერებს დასცინის, ღამით კი პორნოგრაფიულ ფილმებს უჩვენებს.
სამხრეთ ოსეთის მაცხოვრებლებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საიტიც აღიზიანებთ, სადაც მათ ორ ლიდერს, კოკოითსა და ჩოჩიევს, აგრეთვე სხვა ჩინოსნებს ნარკობიზნესსა და ადამიანთა გატაცებაში ადანაშაულებენ.
ექსპერტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სამშვიდობო პროცესთან დაკავშირებით მიდგომის შეცვლაში გადამწყვეტი როლი რუსეთმა ითამაშა. თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. ერთ-ერთი ვერსიით, ედუარდ კოკოითის გეგმა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროდან მომდინარეობს, რომელიც საქართველოსთვის სამშვიდობო ინიციატივის ,,წართმევას" ცდილობს.
,,ვფიქრობ, რუსეთმა გადაწყვიტა, ოსებს ქართველებთან კომპრომისისკენ უბიძგოს, რის შემდეგაც ორივე მხარეზე დამატებითი გავლენის მოხდენის იმედი აქვს", – განაცხადა პოლიტოლოგმა პაატა ზაქარეიშვილმა.
სხვების აზრით, მოსკოვმა თავის მოკავშირეს – სამხრეთ ოსეთს, უბრალოდ, უღალატა. როდესაც რუსეთმა, ეუთო-ის ეგიდით ლიუბლიანაში მინისტრების შეხვედრაზე საქართველოს ინიციატივას კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებით მხარი დაუჭირა, ამან დაბნეულობა გამოიწვია ცხინვალში, სადაც სამხრეთ ოსეთის საქართველოში ინტეგრაციის საფრთხე დაინახეს. ერთ-ერთ სტატიას, რომელიც მოსკოვურ გაზეთში ,,ნეზავისიმაია გაზეტა" დაიბეჭდა, ასეთი სათაური ჰქონდა – ,,რაღა მეგობარი ხარ შენ ამის შემდეგ?".
თუმცა ლუბლიანაში გამოქვეყნებულ პრესრელიზში ნათქვამია, რომ ეუთო-ის მინისტრთა საბჭომ მხოლოდ ,,მოიწონა ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების მიმართულებით ქართული მხარის მიერ გადადგმული ნაბიჯები".
პრესრელიზში აგრეთვე აღნიშნულია, რომ ,,საქართველოს პრეზიდენტის გაერო-ის გენერალური ასამბლეის 59-ე სესიაზე გამოტანილ და მხარეების მიერ მხარდაჭერილ ინიციატივაზე დამყარებული სამშვიდობო გეგმა პრობლემის მოგვარების საწინდარი გახდება".
რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა მიხეილ კამინინმა რუსეთის პოზიცია განმარტა. მან აღნიშნა, რომ მოსკოვმა მხარი დაუჭირა სამშვიდობო გეგმას, რომელიც გასულ წელს სააკაშვილმა გაერო-ის წინაშე წარადგინა. თუმცა იქვე დასძინა, რომ გეგმის განახლებულ ვარიანტს არ იცნობს.
,,ედუარდ კოკოითის წინადადება უპირველეს ყოვლისა, კონფლიქტის დარეგულირების ისეთი პროგრამის შექმნის აუცილებლობას უსვამს ხაზს, რომელიც ყველა მხარის ინტერესებს ითვალისწინებს", – განუცხდა IWPR-ს სამხრეთ ოსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მურატ ჯიოევმა.
,,სწორედ ესაა განსხვავებაც. საქართველოს ხელისუფლებამ და არასამთავრობო ორგანიზაციებმა ხომ უკვე არაერთი გეგმა შეიმუშავეს, მაგრამ ყველა მათგანი მხოლოდ ერთი მხარის – საქართველოს პოზიციას ითვალისწინებდა", – დასძინა მან.
ჯიოევი საქართველოს ხელისუფლების მიერ ორგანიზებულ რამდენიმე ფართომასშტაბიან კონფერენციას გულისხმობდა, რომლებში მონაწილეობაზეც სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლები უარს იმ მიზეზით ამბობდნენ, რომ ისინი პროგრამის შესამუშავებლად არავის მოუწვევია.
მხარეებს შორის მოლაპარაკებები ახალი ინიციატივის შესახებ ერთი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა. თუმცა მიუხედავად კონტაქტების აღდგენისა და ქართული მედიის ტრიუმფალური რეპორტაჟებისა, მოსახლეობა მოვლენების განვითარებას პესიმისტურად უყურებს.
,,სანამ ქართველები არ გაასამართლებენ ყველა დამნაშავეს, რომლებიც აგრესიის წლებში ადამიანებს კლავდნენ და სამართლებრივ-პოლიტიკურ შეფასებას არ მისცემენ გასული საუკუნის 90-იან წლებსა და 2004 წლის ზაფხულში მომხდარ მოვლენებს, სამშვიდობო პროცესი არ შედგება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ გარკვეული შეთანხმებების მიღწევა მაინც მოხერხდება, ხვალ კი, მაგალითად, ვილაცას მოკლავენ ან ვილაც ნაღმზე აფეთქდება, ყველაფერი თავდაყირა დადგება", – განაცხადა ბიზნესმენმა ვლადიმერ ვალიევმა.

ამ სტატიის დაწერაში მონაწილეობდა მარი ბეთლემიძე, IWPR-ის გაზეთ ,,პანორამას" კორესპონდენტი, თბილისი

www.iwpr.net

institute for war & peace reporting

ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის კავკასიის საინფორმაციო სამსახური (CRS) გთავაზობთ უნიკალურ შესაძლებლობას გაეცნოთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენებს ადგილობრივ მიმომხილველთა თვალსაზრისით.
სამსახური ფუნქციონირებს IWPR-ის კავკასიის პროექტის ფარგლებში. პროექტის მიზანია მასობრივი ინფორმაციის ადგილობრივი საშუალებების მხარდაჭერა და მსოფლიო საზოგადოებისთვის რეგიონის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.
ომისა და გაშუქების ინსტიტუტის კავკასიის საინფორმაციო სამსახური მუშაობს დიდი ბრიტანეთის მთავრობის, ევროკავშირისა და ფინეთის მთავრობის მხარდაჭერით.
კავკასიის საინფორმაციო სამსახურის ქართულენოვანი გამოშვების გამოსაწერად მიმართეთ: geocrs@iwpr.ge

# ცვლილებების ქარიშხალი სომხეთის ენერგეტიკაში

*მთლიანად ატომურ ენერგიაზე დამოკიდებული ქვეყანა ენერგიის ალტერნატიული წყაროების ძებნას იწყებს.*

გეგამ ვარდანიანი,
ერევანი

სომხეთის ჩრდილოეთში ამოქმედებული ახალი ქარის ელექტროსადგური, ენერგიის განახლებადი წყაროების განვითარების გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯია. თუმცა კიდევ დიდი დრო გაივლის, სანამ ქვეყანაში ატომური ენერგეტიკის რეალური ალტერნატივა გაჩნდება.
მეწამორის ატომური ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებულ ელექტროენერგიაზე ქვეყნის ძლიერი დამოკიდებულება, ენერგიის ალტერნატიულ წყაროების გამოძებნის აუცილებლობაზე დაფიქრებას გვაიძულებს. მეწამორის ელექტროსადგური 1988 წლის დამანგრეველი მიწისძვრის შემდეგ დაიხურა და მხოლოდ 1996 წელს ამუშავდა. ამ ფაქტს ცხარე კამათი მოჰყვა.
ატომური ელექტროსადგური სომხეთში წარმოებული ელექტროენერგიის 40 პროცენტს გამოიმუშავებს, დანარჩენი ენერგია კი ჰიდროელექტროსადგურებში მიიღება. თუმცა ატომური სადგურის ექსპლუატაციის ვადა 15 წელიწადში იწურება. ევროპის სახელმწიფოთა მთავრობები სომხეთის ხელისუფლებაზე ძლიერ ზეწოლას ახდენენ და ელექტროსადგურის სასწრაფო დახურვას მოითხოვენ.
ქარის ახალი ელექტროსადგური პუშკინის უღელტეხილზე, ზღვის დონიდან 2000 მეტრზეა განლაგებული. ის 6 დეკემბერს გაიხსნა. ელექტროსადგური ქარის ოთხი ტურბინისგან შედგება, რომელთა ერთობლივი სიმძლავრეც 2,6 მეგავატია.
სადგური სომხეთის სამხრეთ მეზობლისა და ეკონომიკური პარტნიორის ირანის მიერ გრანტის სახით გამოყოფილი 3.5 მილიონი დოლარით აშენდა. ირანის ენერგეტიკის მინისტრმა ფარვიზ ფატახმა ელექტროსადგურის გახსნის ცერემონიაზე განაცხადა, რომ მისი ქვეყანა მზადაა, სომხეთს ალტერნატიული ენერგეტიკის განვითარებაში მომავალშიც დაეხმაროს.
,,ირანს ალტერნატიული ენერგეტიკის სფეროში სომხეთთან ურთიერთობების გაღრმავება სურს და ქარის ელექტროსადგურის ასაშენებლად გრანტის გამოყოფა სწორედ ამ პოლიტიკის ნაწილია. სომხეთი ირანისთვის კარგი ბაზარი და დსთ-ის ქვეყნებში შესასვლელი კარგი გზაა", – განუცხადა IWPR-ს სომხეთის პარლამენტის დეპუტატმა, ეკონომისტმა ტატულ მანასერიანმა.
ენერგეტიკის სფეროში ირანი რუსეთის შემდეგ სომხეთის მეორე მსხვილი პარტნიორია. ირანი სომხეთში გაზსადენს აშენებს და რაზდანის თბოელექტროსადგურის მოდერნიზებაშიც მონაწილეობს.
,,ალტერნატიული ენერგეტიკა დღეისათვის ჩვენი ერთ-ერთი ძირითადი სტრატეგიული მიმართულებაა. ჩვენ საკუთარი ენერგორესურსები – წყალი, ქარი თუ მზე მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ, რათა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე – გაზსა და ატომურ ენერგიაზე დამოკიდებულება მინიმუმამდე დავიყვანოთ", – განუცხადა IWPR-ს საზოგადოებრივი მომსახურების მართვის კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ნიკოლოზ გრიგორიანმა.
ქარის ახალი ელექტროსადგურის სიმძლავრე ძალიან მცირეა. მისი ტურბინების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია, მხოლოდ მეზობელი ქალაქის სტეფანავანისთვის იქნება საკმარისი, რომლის მოსახლეობაც 20 ათასს არ აღემატება. სომხეთი წლიურად 6 მილიონ კვტ/სთ ელექტროენერგიას მოიხმარს. ამ ენერგიის უდიდეს ნაწილს მეწამორის ატომური სადგური გამოიმუშავებს. ახალი ქარის ელექტროსადგური კი წლიურად მხოლოდ 5 მილიონ კვტ/სთ-ს აწარმოებს.
საზოგადოებრივი მომსახურების მართვის კომისიამ სომხეთის ელექტროხაზებისთვის ქარის ენერგოსადგურის მიერ წარმოებული ენერგიის შესაძენ ფასად – 1 კვტ/სთ ენერგიისთვის 7 აშშ ცენტი დააწესა. ფასში ქარის ენერგეტიკის განვითარების ხარჯებია ჩადებული, რაც ამ ელექტროენერგიას აძვირებს.
,,ეს სომხეთში ყველაზე ძვირი ენერგიაა. თბოელექტროსადგურების ენერგია 3 ცენტზე ცოტა მეტი ღირს, ჰიდროელექტროსადგურების ენერგია კი 4,5 ცენტი", – გვიხსნის გრიგორიანი.
ქარის ელექტროსადგურს სახელმწიფო კომპანია ,,მაღალვოლტიანი ელექტროხაზები" მართავს. ეს კომპანია ირანულ-სომხური გაზსადენის მშენებლობაში სომხეთის მხარეს წარმოადგენს.
,,ეს ჩვენთვის დამატებითი დაფინანსებაა და ვგეგმავთ, რომ მთელი მიღებული სახსრები ირან-სომხეთის გაზსადენის სომხეთის მონაკვეთის მშენებლობას მოვახმაროთ", – განუცხადა IWPR-ს ,,მაღალვოლტიანი ელექტროხაზების" დირექტორმა საак აბრაამიანმა.
,,სახელმწიფო გარანტიას იძლევა, რომ ელექტროხაზები ქარის ენერგიას შეიძენს და ეს ფასები მხოლოდ 15 წლის განმავლობაში იარსებებს. ამით ჩვენ ალტერნატიული ენერგეტიკის განვითარების პირობებს ვქმნით და კერძო ინვესტიციების მოზიდვას ვცდილობთ", – ამბობს სომხეთის ენერგეტიკის მინისტრი არმენ მოვსისიანი.
მინისტრი იმედოვნებს, რომ პუშკინის უღელტეხილზე განლაგებული ქარის ტურბინების რიცხვი დროთა განმავლობაში გაიზრდება, ამ ტერიტორიებისთვის ჩვეული ქარის სიძლიერე კი მათ სიმძლავრესაც გაზრდის.
ქარის ელექტროსადგურიდან ყველაზე ახლოს – 2-3 კილომეტრში სოფელი გარგარი მდებარეობს. აქედან ტუბინებიც კი ჩანს. სოფლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი კარენ ზალინიანი ქარის სადგურების მშენებლობას სიხარულით ხვდება. ,,მართალია, ჩვენ ელექტროენერგიას ჯერ არ გვაძლევენ, მაგრამ ორწლიანი მშენებლობის განმავლობაში აქ ცხოვრება გამოცოცხლდა. ხშირად ჩამოდიოდნენ ირანელი და სომეხი მშენებლები. ამბობენ, რომ შეიძლება მომავალში მშენებლობა კიდევ გაგრძელდეს".



*სომხეთში ენერგიის ალტერნატიულ წყაროებს ეძებენ*

საზოგადოებრივი ორგანიზაციის ,,მდგრადი განვითარებისთვის" თავმჯდომარე კარინე დანიელიანი ამბობს, რომ ქარის სადგურების მშენებლობის ნეგატიური მხარე – პეიზაჟის შეცვლა და ფრინველებზე ხმოვანი ზემოქმედება, დადებით მხარეებს გადაწონის.
,,ამბობენ, რომ სომხეთში ახალი ატომური ელექტროსადგურის მშენებლობის პროექტი არსებობს. როგორც ეკოლოგი, ამას ვერაფრით დავეთანხმები, რადგან რისკი ძალიან დიდია. ჩვენ სეისმურ ზონაში ვცხოვრობთ და როგორც ამბობენ, ღმერთი აქამდე გვეხმარებოდა; მაგრამ რამდენ ხანს გაგრძელდება ეს, არავინ იცის", – ამბობს იგი.
მეწამორის ატომური სადგური წელიწადში საშუალოდ 2 მილიარდ კვტ/სთ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს. კომპანია ,,სოლარენი", რომელსაც ალტერნატიული ენერგეტიკის სფეროში მუშაობის ხუთწლიანი გამოცდილება აქვს, სომხეთის ქარების რუკის შედგენაში მონაწილეობდა. ამ ღონისძიების მიზანი ატომური ენერგიის შესაცვლელად საჭირო ქარის ენერგიის ოდენობის დადგენა გახლდათ.
,,თუ სომხეთი ქარის მთელ პოტენციალს გამოიყენებს და ასეთ სადგურებს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ააშენებს, წელიწადში 1 მილიარდი კვტ/სთ ენერგიის გამომუშავებას შეძლებს. ეს ატომური სადგურის მიერ წარმოებული ენერგიის ნახევარია", – ამბობს კომპანია ,,სოლარენის" მარკეტინგის განყოფილების ხელმძღვანელი არტურ ლალაიანი.
ენერგიის კიდევ ერთი წყარო მცირე ელექტროსადგურებია – მათი ოდენობა სომხეთში უკვე 32-ს აღწევს. არტურ ლალაიანის გათვლებით, მათ წლიურად 400 მილიონი კვტ/სთ-ის გამომუშავების პოტენციალი აქვთ. ,,მხოლოდ წყლისა და ქარის ენერგიის გამოყენებით ჩვენ ატომური ელექტროსადგურის მიერ წარმოებული ენერგიის 3/4-ს მივიღებთ. ამასთან ერთად, მზის ენერგიასაც გამოვიყენებდით", – ამბობს იგი.
ლალაიანის თქმით, მისმა კომპანიამ რამდენიმე ექსპერიმენტული მზის ბატარეაც დადგა. მან აღიარა, რომ მზის ენერგია ამჟამად ძვირია, მაგრამ მომავალი მაინც აქვს. ,,მზის ენერგია შეუზღუდავია. სომხეთში იმდენად დიდი მზის ენერგიაა, რომ ის მთელ პლანეტასაც ეყოფოდა. სწორედ ესაა ენერგეტიკის მომავალი და ის, ვინც დღეს ამ სფეროში ინვესტიციას ჩადებს, მომავალში ყველაზე მეტს მოიგებს".

www.iwpr.net



დავით კოვზირიძის სვეტი

# არგენტინა - კვლავ ერთი კაცის იმედად

მსოფლიო ჩემპიონატის ფავორიტებზე უნდა გავაგრძელო წერა. ალბათ გახსოვთ, რომ ასეთებად წინა თვეში შვიდი ნაკრები შევრაცხეთ - ბრაზილია, არგენტინა, იტალია, ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი, ჰოლანდია - და პირველზე, მოქმედ ჩემპიონზე, უკვე ვისაუბრეთ. ახლა რიგით მეორე ურჩხულის, არგენტინის ეროვნული გუნდის ჯერია.

წინა ტურნირზე სამხრეთამერიკელები ჯგუფში ჩარჩნენ. ჩარჩნენ იმიტომ, რომ ჰყავდათ სუსტი ჭკუის დამრიგებელი მარსელო ბიელსა და მოხვდნენ ძალიან რთულ კვარტეტში. ამჯერად ოდნავ განსხვავებული მდგომარეობაა: ჯგუფი კვლავ საოცარი სიმძიმისაა, მაგრამ არგენტინელებს წვრთნის ძალიან ჭკვიანი და მრავლის მნახველ-მომგები კაცი ხოსე პეკერმანი, რომელმაც წიწკვ თანამემამულეებთან ერთად სამჯერ გაიმარჯვა პლანეტის ახალგაზრდულ პირველობაში.

ის გამარჯვებები მხოლოდ ტიტულების კოლექციის შესავსებად არ იყო მნიშვნელოვანი. ამ ეტაპზე გაცილებით საინტერესო ისაა, რომ ბავშვები, რომლებთან ერთადაც პეკერმანმა სასწაულები მოახდინა, ახლა უკვე კაცები არიან და ეროვნული გუნდის ღერძს ქმნიან - ხავიერ სავიოლა, ხუან რომან რიკელმე, პაბლო აიმარი, კარლოს ტევესი, ფაბრიციო კოლოჩინი, ლუჩო ფიგეროა, ხავიერ მაშერანო - მაესტრომ ამ ხალხისა ყველაფერი იცის და ამ კორპორაციამ რამდენჯერმე იმუშავა ნაყოფიერად.

მაგრამ სხვაა ახალგაზრდული ჩემპიონატი და სულ სხვა იქნება 2006 წლის ზაფხული. ამიტომაც მგონია, რომ არგენტინელთა მასწავლებელი კოლეგებზე მეტ დროს დაუთმობს ფსიქოლოგიურ სამუშაოს. ეს ისედაც აუცილებელია არგენტინელთათვის, რადგან დიეგოს დოპინგზე ჩავარდნის შემდეგ ამ ნაკრებს რაღაც კომპლექსის მაგვარი დაეტყო - 94-ში გუნდი შოკიდან ვერ გამოვიდა, საფრანგეთში ჰოლანდიასთან წააგო, ბოლო ჩემპიონატზე კი სულაც თავი მოიჭრა.

გარდა ფსიქოლოგიურისა, არსებობს საკადრო პრობლემებიც. ესენია - მეკარე, თავდასხმა და გამოკვეთილი ბელადი. ყველაზე მწვავე მდგომარეობა კარშია, რადგან არგენტინელებს წლებია მაღალი კლასის გოლკიპერი არ ჰყოლიათ. შეტევის ქმედითუნარიანობა დიდად იქნება დამოკიდებული ერნან კრესპოს სათამაშო კონდიციებზე, რადგან კონფედერაციის თასის გათამაშებაზე აშკარად გამოჩნდა ამ ფორვარდის, უფრო სწორად, მისი არყოფნის ფასი.

რაც შეეხება ლიდერს, მარადონასნაირი თამადა სამხრეთამერიკელებს, ალბათ, აღარასდროს ეყოლებათ. თუმცა აქ მარადონას გაქანებაზე ლაპარაკი არ არის, უბრალოდ, წინამძღოლს ვგულისხმობ. რიკელმე? ოსტატია, მაგრამ ფლეგმა. აიმარი? ზედმეტად არასტაბილურია. ძანეტი? იმხელა სამუშაოს ასრულებს, საეჭვოა, ლიდერობისთვის მოიცალოს.

ეს, რა თქმა უნდა, საკმაოდ თვალშისაცემი მინუსებია, მაგრამ ამ გუნდს ერთი ისეთი პლუსი აქვს, სხვა რომ ვერც იოცნებებს. ჰა-ჰა, იტალიამ მოახერხოს რაიმე მშობლიური კატენაჩოს დახმარებით. ეს პლუსი გახლავთ ის, რომ **არგენტინის ნაკრები არის ერთადერთი, ვისაც რეალურად შეუძლია ბრაზილიური მატარებლის გაჩერება.** არა იმიტომ, რომ რაღაცით უკეთესია. არა, მოქმედ ჩემპიონებს დღეს ვერავინ შეედრება ვერც დიდოსტატების რაოდენობით, ვერც ჯადოქრით, ვერც სილამაზით და საერთოდ, ფეხბურთი რომ მათემატიკის ერთ-ერთი მიმდინარეობა იყოს, პარეირას ბიჭები უკვე გამარჯვებულებად ჩაითვლებოდნენ. მაგრამ ფეხბურთი ფეხბურთია, ლოგიკა სულ ფეხზე ჰკიდია და როდესაც ერთმანეთს ესენი ხვდებიან, გამორიცხული არაფერია.

თუმცა ეს არაფერს ნიშნავს, რადგან არგენტინა-ბრაზილია შეიძლება სულაც ვერ ვნახოთ და ეს პლუსი პეკერმანის გუნდმა სახლში წაიღოს დაობებული.

ყოველივედან გამომდინარე, პეკერმანს ძალიან ბევრი საფიქრალი აქვს და მე თუ მკითხავთ, ორი რამ შეიძლება მოხდეს: არგენტინის ნაკრები ან დაგლიჯავს, ანაც მორიგ სირცხვილს მიირთმევს. ამიტომაც ვახსენე ფიქრი - ბევრ ფიქრსა და არასწორად ფიქრს შორის ძალიან ღრმა ხევია. ბარემ ბოლომდე ჩავახუჭუჭებ ამ აბდაუბდა აზზაცს - არგენტინელები მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიბრწყინებენ, თუ ხოსე პეკერმანი ბევრს და, რაც მთავარია, იდეალური სიზუსტით იფიქრებს. ერთი პატარა შეცდომა და ყველაფერი დამთავრდება.

და კიდევ ერთი. არგენტინელები გამორჩეულად ჯიგრიანი ხალხია და ეს ყოველთვის ეხმარებოდათ სპორტული თვალსაზრისით ძლიერ მოწინააღმდეგეთა დამარცხებაში. თუმცა ბოლო ხანებში, მას მერე, რაც ამ გუნდს რიგრიგობით წვრთნიდნენ არცთუ საინტერესო იდეების მქონე სპეციალისტები, ეს თვისება რაღაც უაზრო სიჯიუტესა და არაფრისმომცემ ინდივიდუალიზმში გადაიზარდა. ხედავთ, მორიგი წრე დავარტყით და ისევ იმ მაღალ გამხდარ კაცთან მოგვიხდა დაბრუნება. და რადგან ყოველი წრის დასასრული მასთან მიდის, დასკვნაც შესაბამისი უნდა გამოვიტანოთ:

არგენტინა არასდროს ყოფილა დამოკიდებული ერთ ადამიანზე დიეგო არმანდო მარადონას შემდეგ. თუმცა ის ფანტასტიკური, განუმეორებელი ფეხბურთელი იყო, ეს კი ძალიან ჭკვიანი მწვრთნელია.

*მომავალ სამშაბათამდე*

ჩოგბურთი

# საუკეთესოები

ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ წლის ლაურეატებად შვეიცარიელი როჟე ფედერერი და ბელგიელი კიმ კლიისტერსი დაასახელა. 24 წლის ფედერერი მეექვსე ჩოგბურთელია, რომელსაც წილად ხვდა პატივი წლის საუკეთესო მოთამაშედ ზედიზედ ორჯერ ეღიარებინათ. ადრე პატივცემულთა კასტაში შვედი ბიორნ ბორგი, ამერიკელები ჯონ მაკინროი და პიტ სამპრასი, ჩეხი ივან ლენდლი და ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტი ერთიანდებოდნენ.

2005 წელს ფედერერმა ერთეულთა თანრიგში საერთო ჯამში 11 ტურნირი მოიგო. მათ შორის ორი "დიდი სლემის" - უიმბლდონი და აშშ-ის ღია ჩემპიონატი. ამასთან ფედერერი კვლავ სათავეში უდგას პროფესიონალ ჩოგბურთელთა რეიტინგს. მან წელს 81 მატჩი მოიგო და 4-ჯერ დამარცხდა.

22 წლის კიმ კლიისტერსმა კი სეზონი რეიტინგის მეორე ასეულში დაიწყო და წლის ბოლოს მეორე ადგილამდე აღზევდა. ამასთან, ბელგიელმა ქალბატონმა კარიერის განმავლობაში თავისი პირველი "დიდი სლემის" ტურნირი მოიგო - აშშ-ის ღია ჩემპიონატი.

ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ საუკეთესო წყვილებად ვაჟთა შორის ამერიკელი ძმები რობერტ და მაიკ ბრაიანები აღიარა. ქალებში ყველას ავსტრალიელმა სამანტა სტოსურმა და





წლის საუკეთესო ჩოგბურთელები: როჯე ფედერერი და კიმ კლიისტერსი.

ამერიკელმა ლაიზა რეიმონდმა აჯობეს. იუნიორებში კი საუკეთესოდ ამერიკელი დონალდ იანგი და ბელორუსი ვიქტორია აზარენკა მიიჩნიეს.

ამასობაში ერთ დროს მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა შვეიცარიელმა მარტინა ჰინგისმა დაადასტურა, რომ მონაწილეობას მიიღებს ავსტრალიის ღია ჩემპიონატში, რომელიც იანვარში დაიწყება.

ჰინგისი სხვა ტურნირებში თამაშსაც აპირებს, რომელთა ზუსტ ნუსხას ჩოგბურთელი 25 დეკემბრამდე დაასახელებს. ავსტრალიის ღია ჩემპიონატის ორგანიზატორები იმედოვნებენ, რომ ჰინგისის გამოჩენა გულშემატკივართა დამატებით რაოდენობას მოიზიდავს, თუმცა, "დიდი სლემის" პირველ ტურნირს არც შარშან აკლდა მაყურებელი.

მარტინა ჰინგისი ბოლოს 2002 წელს ფილდერშტადტის ტურნირზე გამოვიდა კორტზე. ავსტრალიაში კი შვეიცარიელმა პირველად 1995 წელს ითამაშა. 1997-1999 წლებში ტურნირის მოგება მოახერხა. 2000-2002 წლებში ჰინგისი ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში თამაშობდა. სულ მელბურნის კორტებზე მარტინა ჰინგისმა 49 მატჩი ჩაატარა, აქედან 44-ჯერ გაიმარჯვა.

ფორმულა 1

# ალონსო "ვერცხლისფერ ისრებს" მოზიდავს

ბიგა ბურასაშვილი

*გაისად ფორმულა 1-ის საჯინიბოებს ჩვეული თავსატეხი გაუჩნდებათ: რომელი მრბოლი გადაიბირონ, ვის შეელიონ. საკუთარ გუნდებთან ხელშეკრულებები ეწურებათ ჯანკარლო ფიზიკელას, მიხაელ შუმახერს, ფელიპე მასას და კიმი რაიკონენს. სამეფო რბოლათა ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი, "რენოს" ესპანელი პილოტი ფერნანდო ალონსო 2007 წლიდან "მაკლარენის" გუნდს შეუერთდება.*

ფრანგულ საჯინიბოსთან ესპანელის ახლანდელ ხელშეკრულებას გაისად, სეზონის დამთავრებისთანავე გაუვა ვადა და "ვერცხლისფერ ისრებთან" თანამშრომლობით გაგრძელდება. ყოველ შემთხვევაში, ასეთია ოფიციალური განცხადების შინაარსი.

ესპანურ პრესასთან საუბარში ალონსო ამბობს, რომ აირჩევს იმ გუნდს, რომელიც რომელიც მას რბოლების მოგების საშუალებას მისცემს.

"ხელშეკრულებით "რენოში" კიდევ ერთი წელიწადი უნდა ვიმუშაო. მერე კი იმ გუნდს ავირჩევ, რომელიც გამარჯვებისთვის უკეთეს პირობებს შემომთავაზებს. ეს სწორედ ისაა, რაც მე მჭირდება...



ალონსო რენოს კოკპიტში გაისადაც ჩაჯდება და მერე წავა.

ვწუხვარ, რომ "რენო" უნდა დავტოვო, მაგრამ ხანდახან ისეთი შანსი გეძლევა, რომლის ხელიდან გაშვება არ შეიძლება. მიხარია, რომ 2007 წლიდან "მაკლარენ-მერსედესის" ღირსებას დავიცავ. ეს ჩემთვის დიდი გამოწვევა და პატივია. 2006 წელს ყველაფერს ვილონებ იმისთვის, რომ "რენოსთან" ერთად ჩემპიონის ტიტული დავიცვა...

თუ ჩემპიონის ტიტულს უახლოეს 20 წელიწადში ვერ დავეუფლები, 2005 წლის მსოფლიო ჩემპიონად მაინც დავრჩები".

ალონსოს "მაკლარენში" გადასვლა ერთგვარ ჯაჭვურ რეაქციას გამოიწვევს. ეს იმას ნიშნავს, რომ "ვერცხლისფერ ისრებს" აუცილებლად დატოვებს კიმი რაიკონენი ან ხუან პაბლო მონტოია. საინტერესოა, რომელ მრბოლს შეელევიან მაკლარენელები. ნაკლებად სავარაუდოა, რაიკონენის დათმობა უნდოდეთ, მაგრამ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ფინელი მრბოლით "ფერარია" დაინტერესებული, მაშინ არაფერია გამორიცხული.

რამდენიმე დღის წინ "მაკლარენმა" საკმაოდ სარფიანი სპონსორული ხელშეკრულება გააფორმა სატელეკომუნიკაციო გიგანტ "ვოდაფონთან", რომელმაც თავის მხრივ თანამშრომლობა შეწყვიტა "ფერარისთან". ახალი ხელშეკრულება იმითაა მნიშვნელოვანი, რომ "ვერცხლისფერ ისრებს" გაისად უმთავრესი ჯილდოსთვის ბრძოლის საშუალებას მიეცემა.

"მშვენიერია, რომ მსოფლიოს ჩემპიონმა დააფასა ჩვენი მცდელობა შევქმნათ კონკურენტუნარიანი გუნდი, - აცხადებს "მაკლარენის" ხელმძღვანელი რონ დენისი, - ყოველთვის ვამბობდით, რომ გვინდა ვიყოთ უძლიერესები. ამისთვის აუცილებელია საჯინიბოში მოვიყვანოთ საუკეთესო ადამიანები, საუკეთსეო მრბოლები და მოწინავე კონსტრუქტორები".

ამასობაში მაკლარენელთა ბოსი საგონებელშია და ვერ გადაუწყვეტია, ვინ უნდა დატოვოს გუნდი - რაიკონენმა თუ მონტოიამ. ადრე არაერთხელ გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, ფერარელ მიხაელ შუმახერს რაიკონენი შეცვლისო.



# "ახალი თარგმანების" პრეზენტაცია

ნინო ჩიმაკაძე

გუშინ საღამოს TBC ბანკის შენობაში ქართულმა ლიტერატურულმა ბომონდმა მოიყარა თავი. მათი შეკრების მიზეზი ლიტერატურული ალმანახის "ახალი თარგმანები", ახალი, მეხუთე ნომრის პრეზენტაცია იყო. ალმანახი გამოიცა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსა და ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" ფინანსური მხარდაჭერით. გამომცემლები არიან "დიოგენე" და "ახალი თარგმანები".

ალმანახის რედაქტორია მწერალი ბესო ხვედელიძე. სარედაქციო კოლეგიას შეადგენენ: მაია ბადრიძე, ვახუშტი კოტეტიშვილი, თამარ ლებანიძე, ლელა ხომერიკი და დავით ჯავახიშვილი. როგორც ისინი აცხადებენ, "ახალი თარგმანების" ამ ნომერში წარმოდგენილი მასალა სხვადასხვა თაობისა და გემოვნების მკითხველზეა გათვლილი. ალმანახი მართლაც მრავალფეროვნებით გამოირჩევა. პასტერნაკის და ტედ ჰიუზის ლექსები, სლავომირ მროჟეკის და დოსტოევსკის პროზა, ბერდიაევის ფილოსოფია, ალფრედ დობლინის პიესა, სვამი ვივეკანდას რელიგიური ნაშრომი, მიშელ დე მონტენის ესეები... ეს იმ საინტერესო ტექსტების არასრული ჩამონათვალია, რომლებსაც კრებულის ახალ ნომერში გაეცნობით. ალმანახს ბორის პასტერნაკის ლექსები ხსნის, რომელიც ვახუშტი კოტეტიშვილმა თარგმნა. თარგმანებზე ასევე იმუშავეს ცნობილმა ლიტერატორებმა და მთარგმნელებმა მალხაზ ხარბედიამ, ზაზა ბურჭულაძემ, მზია ბურჯანაძემ, დოდო ლაბუჩიძემ და სხვებმა. თარგმანები, ტრადიციისამებრ, სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებს მოიცავს. ესენია: პოეზია, პროზა, დრამატურგია, ესეისტიკა, ფსიქოლოგია, ფილოსოფია, რელიგია და რეცენზია. ასე რომ, მკითხველს დიდი არჩევანი აქვს.

"ახალი თარგმანების" შემდეგ ნომერს, როგორც ბესო ხვედელიძემ აღნიშნა, იანვრიდან უნდა ველოდოთ. მანამდე კი, მოგვიწევს უკვე გამოცემულ თარგმანებს დავჯერდეთ. მით უმეტეს, რომ წასაკითხი მართლაც ბევრია.

# ოპერა და ბალეტი ბავშვებისთვის

იმის გარდა რომ ზაქარია ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის თეატრი საქველმოქმედო სპექტაკლებს რეგულარულად მართავს, ახლა სააბონემენტო სისტემაც აღადგინა. აბონემენტის ცნება, რომელიც სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის დიდი ხანია, რაც აღარ არსებობს, მით უფრო ხარისხიან წარმოდგენებზე, ოპერისა და ბალეტის თეატრის ხელმძღვანელობისთვის ისევ აქტუალობა შეუძენია. აბონემენტით, რომელიც 12 ლარი ღირს, მოზარდები წლის განმავლობაში ხუთ, ყველაზე საინტერესო სპექტალს იხილავენ, წარმოდგენებს, რომლებზეც ბილეთის საშუალო ღირებულებაც 10-20 ლარს შეადგენს. ბავშვებისთვის შერჩეული სააბონემენტო წარმოდგენების რეპერტუარი მრავალფეროვანია, რათა, როგორც თეატრის ხელმძღვანელობა აღნიშნავს, მოზარდების ინტერესები გააფართოვონ და თან მაქსიმალურად გააცნონ ოპერისა და ბალეტის თეატრის შემოქმედება, ოპერისა და ბალეტის ხელოვნების რაობა.



"თეატრი ძალიან კარგ საშუალებას გვაძლევს, ჩვენი მოსწავლეები ღირებული და ჭეშმარიტი ფასეულობებით დავაინტერესოთ. რაც მეტს ნახულობენ, მით მეტად უჩნდებათ აქ ხელახლა მოსვლის სურვილი, თანაც ამ სიამოვნების მიღება არცთუ ისე ძვირია." - აღნიშნავს ერთ-ერთი საშუალო სკოლის პედაგოგი, რომელიც გუშინ სააბონემენტო სპექტაკლს მოსწავლეებთან ერთად ესწრებოდა. ამჯერად ზაქარია ფალიაშვილის "აბესალომ და ეთერი" იხილეს და მოისმინეს. სამომავლოდ კი მოზარდები თეატრის რეპერტუარის სხვა და ახალ წარმოდგენებსაც იხილავენ.

*24 საათი*

# ქალბატონების საიდუმლო

ლეონარდო და ვინჩის "ჯოკონდა" ისევ გახდა მეცნიერთა დაკვირვებისა და კვლევის საგანი. ამჯერად ცნობილ ტილოზე კომპიუტერული პროგრამა გამოსცადეს, რომელიც სპეციალურად ამა თუ იმ ობიექტის და ამ შემთხვევაში ადამიანის სახეზე გამოსახული ემოციური მდგომარეობის დადგენისთვის მოიგონეს.

როგორც ჟურნალ New Sciantist-ს გვერდები გვატყობინებენ, მონა ლიზამ ტესტირება წარმატებით გაიარა. კომპიუტერულმა პროგრამამ დაადგინა, რომ და ვინჩის ქალი-ქმნილება 83 პროცენტი ბედნიერია, 9 პროცენტით - დაეჭვებული, 6 პროცენტით - შეშინებული და მხოლოდ 2 პროცენტით - გაბრაზებული.

გამოდის რომ, ჯოკონდას გამოუცნობი ღიმილი სწორედაც რომ ღიმილია და არა ის, რასაც მას აწერდნენ სხვადასხვა დროსა და ეპოქაში მკვლევარები.

სახის მიმიკის მიხედვით ემოციური მდგომარეობის გაშიფვრის ალგორითმი ამსტერდამისა და ნიდერლანდების კვლევითი უნივერსიტეტების სპეციალისტებმა აშშ-ში გამოიგონეს. პროგრამა აფიქსირებს სახის მიმიკის ძირითად მოძრაობებს, მაგალითად ტუჩების მოხაზულობას, ნაოჭებს თვალების გარშემო. შემდეგ კი მათ შორის მიმართებებს ითვლის და შედეგს პროცენტების სახით გვთავაზობს. ამ შემთხვევაში ამოსავალ წერტილად ნეიტრალური ემოციების ქალის მშვიდი სახე აუღიათ. თავად ეს სახეც კომპიუტერული ვერსია ყოფილა, რომლის შესაქმნელად ასობით რეალური ადამიანის სახე გამოუყენებიათ.

ლეონარდო და ვინჩიმ "მონა ლიზა" XVI საუკუნის დასაწყისში დახატა. იგი იმ ნამუშევართა რიგში მოექცა, რომლებიც მხატვარმა საფრანგეთში წაიღო, ამიტომაც ამოუცნობი ჯოკონდა და ვინჩის გარდაცვალების შემდეგ სამუდამოდ საფრანგეთისა და მისი ლუვრის საკუთრება გახდა.

2005 წლის დასაწყისში მაღალი აღორძინების ეს გამორჩეული შედევრი მისთვის განკუთვნილ და განცალკევებულ "სახელმწიფო დარბაზში" გადაიტანეს. "მონა ლიზას" ახალი სამყოფელის რეკონსტრუქციას ოთხი წელი და ექვს მილიონ დოლარზე მეტი დასჭირდა.



მონა ლიზას ღიმილით დაინტრიგებულ ამერიკელ მეცნიერებს არც მათი ბრიტანელი კოლეგები ჩამორჩნენ. ისინიც საიდუმლოს ამოხსნას შეუდგნენ, თუმცა მათ ინტრიგა იპოვეს არა ფერწერულ, არამედ ლიტერატურულ ქმნილებაში. ადგნენ და განაცხადეს, რომ აგატა კრისტის დეტექტივებს აქვთ რაღაც განსაკუთრებული საიდუმლო, რომლითაც მკითხველს იზიდავენ. მერე კი ამ საიდუმლოს ამოხსნას შეუდგნენ. Times Onlaini გავატყობინებს, რომ ბრიტანელმა მეცნიერებმა აგატა კრისტის დეტექტივების პოპულარობის საიდუმლო ამოხსნეს. ლონდონის უნივერსიტეტის ნეიროლინგვისტებმა დაადგინეს, რომ კრისტის ტექსტებში არის ისეთი ფრაზები, რომლებიც მკითხველში ენდორფინისა და სეროტანინის მაჩვენებლების გაზრდას იწვევს. "კრისტის ენობრივი ფორმები ტვინის მაღალაქტიური მუშაობის პროვოცირებას ახდენს," - ამბობს დოქტორი რონალდ კაპფერერი, "აგატას პროექტის" მკვლევართა მთავარი კოორდინატორი, - ამ ნეიროლოგიური რეაქციების სტიმულირებას კი ადამიანი იქამდე მიჰყავს, რომ ნაწარმოებების კითხვას თავს ვერაფრით ანებებს და მათ ვერ წყდება."

მკვლევარები მიუთითებენ, რომ აგატა კრისტის ლექსიკა და სიტყვის მარაგი მეტად ორგანულია, რაც იმას ნიშნავს, რომ მკითხველი არ ერთობა და მეტ ყურადღებას უთმობს სიუჟეტის გასაღების ძიებას. მეცნიერები ამბობენ, რომ დეტექტივების არც ისე სახალისო ისტორიების მიუხედავად, მწერალი ქალბატონი იყენებს სიტყვებს, რომლებიც მკითხველისთვის სასიამოვნოა, ხშირად იმეორებს ერთსა და იმავე ფრაზებს, რითიც ერთგვარ ჰიპნოზს გვიკეთებს.

ამას გარდა, მეცნიერების ყურადღება იმანაც მიიქცია, რომ ქალბატონი აგატა ხშირად იყენებს ტირეს, რითიც იგი თხრობის აჩქარებულ ტემპს ქმნის. ყოველი ფრაზა, რომლსაც ტირე მოსდევს, მეტად გვიჩენს სურვილს იმისა, რომ მომდევნო ფრაზებიც წავიკითხოთ.

აგატა კრისტის შვილიშვილი მეთიუ რიჩარდი მაინცდამაინც დიდი კმაყოფილებით არ შეხვდა "აგატას პროექტსა" და მის შედეგებს. "არავითარი საიდუმლო არ არსებობს, აგატა უბრალოდ არაჩვეულებრივ სიუჟეტებს თხზავდა", - ამ სიტყვებითა და ოდნავი წყრომით შეეხმიანა მეცნიერებს მწერლის შთამომავალი.

*ღია წერილი*

# შევუნარჩუნოთ საქართველოს ქართული მოდის ცენტრი!

**საქართველოს პრეზიდენტს, ბ-ნ მ. სააკაშვილს,**

**კულტურისა და სპორტის მინისტრს, ბ-ნ გ. გაბაშვილს,**

**განათლების მინისტრს, ბ-ნ კ. ლომაიას**

ერთი თვის წინ თბილისის ისტორიის მუზეუმ "ქარვასლაში" გაიხსნა გამოფენა და გაიმართა წიგნის - "მაქს ტილკე. კავკასიის ხალხთა კოსტიუმები" - პრეზენტაცია. წიგნი-კატალოგი გამოიცა ფონდ "ღია საზოგადოება-საქართველოსა" და გერმანიის საელჩოს მხარდაჭერით. კატალოგის შესავალში ნათქვამია: 1909 წელს თბილისის კავკასიის მუზეუმის დირექტორმა, ეთნოგრაფმა და მოგზაურმა ალექსანდრე ნიკოლოზის ძე კაზნაკოვმა ვრცელი მოხსენებით მიმართა კავკასიის მეფისნაცვალს ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვს და "ეროვნული კოსტიუმის ისტორიული მნიშვნელობა და მისი შენარჩუნების აუცილებლობა ხაზგასმით აღნიშნა".

გერმანელი მხატვრის მაქს ტილკეს სახელმა რუსეთის საიმპერატორო კარსაც მიაღწია, სადაც იგი გაიცნეს და იმპერატორის რეკომენდაციით კავკასიის მუზეუმში მიიწვიეს სამუშაოდ. სწორედ ამ მიწვევის შედეგად შეიქმნა ის შესანიშნავი, ეთნოგრაფიული კოსტიუმების აკვარელით შესრულებული ნამუშევრები, რომლებიც ქარვასლაში გამოიფინა და ჩვენი ქვეყნის კულტურულ მემკვიდრეობას მიეკუთვნება.

ეს გამოფენა კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, თუ როგორ უნდა მოვუფრთხილდეთ და შევუნარჩუნოთ მომავალ თაობებს ასეთი მემკვიდრეობა.

ამ წერილით გვსურს, მოკრძალებით შევახსენოთ ხელისუფალთ ერთი საუკუნის წინ რუსეთის მეფისნაცვლის ჩინოვნიკის ნააზრევი (მცირე სახეცვლილებით): "ეროვნული კოსტიუმის მნიშვნელობა და მისი შენარჩუნების აუცილებლობა."

...1949 წელს თბილისში, მეფისნაცვალ ვორონცოვის სახელობის ყოფილ მოედანზე (ისტორიული დამთხვევაა) გაიხსნა "საქართველოს მოდელების სახლი", სადაც, მართალია, არ ქმნიდნენ ეროვნულ კოსტიუმებს, მაგრამ სათუთად ეპყრობოდნენ ამ ეროვნულ საგანძურს. თანამედროვე კოსტიუმის ნიმუშებში მრავალჯერ აისახა მისი მშვენიერება.

ქართული ეროვნული კოსტიუმის ნიმუშებით შთაგონებული ეს შესანიშნავი მოდელები არაერთხელ გამხდარა საბჭოეთისა და მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა აღტაცებისა და აღფრთოვანების მიზეზი. 1961 წლის შემდეგ, მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ტალინის, რიგის, ვილნიუსისა და სხვა ქალაქების პოდიუმებზე მრავალჯერ წარმატებული ჩვენების პარალელურად, თანამედროვე ქართული მოდა ნაჩვენები იქნა მსოფლიოს ოც ქალაქში, მათ შორის, ბერლინში, პარიზში, დიჟონში, ბარსელონაში, ატლანტაში, ქაიროში, იზმირში...

დღეს "საქართველოს მოდელების სახლი", როგორც შემოქმედებითი ორგანიზაცია, აღარ არსებობს (1998 წლიდან გათავისუფლებულია შემოქმედებითი ჯგუფის ყველა წევრი). მის ისტორიულ შენობას ვორონცოვის ყოფილ მოედანზე და ლესელიძის ქუჩის 22 ნომერში განთავსებულ წარმოებას მხოლოდ წარწერალა შემორჩა. 1995 წლიდან მას სააქციო საზოგადოება "მოდების რესპუბლიკური ცენტრი" ჰქვია.

გასული საუკუნის 90-იან წლებში საწარმოების პრივატიზაციის "ბუმს" შეეწირა "საქართველოს მოდელების სახლი" - შემოქმედებითი ორგანიზაცია. ეს პრივატიზაცია დანაშაულის ტოლფასი აღმოჩნდა, რადგან, როგორც მრავალი სხვა საწარმო, გაიძარცვა, გაიყიდა ქართული მოდის ისტორიისთვის მნიშვნელოვანი მოდელები, ძვირად ღირებული საზღვარგარეთული საქსოვი, საქარგი და საკერავი მანქანები... აქციონერებს ათი წლის განმავლობაში არ მიუღიათ არც ერთი თეთრი დივიდენდის სახით...

ს.ს. "მოდების რესპუბლიკური ცენტრის" შემოქმედებითი კოლექტივის წევრთა არაერთი მცდელობა, დაებრუნებინათ ცენტრისთვის პირვანდელი ფუნქცია, არაერთი კრიტიკული წერილი და პუბლიკაცია გაზეთებში, ჟურნალში, საჩივრები ზემდგომ ორგანიზაციებში წინა ხელისუფლებამ უყურადღებოდ დატოვა.

იმედი გვაქვს, საქართველოს ახალი ხელისუფლება გამოიჩენს კეთილ ნებას, გამონახავს სამართლებრივად სწორ ფორმას და ს.ს. "მოდების რესპუბლიკური ცენტრის" შემორჩენილ ქონებას (შენობა-ნეგებობები, დაზგა-დანადგარები, ბიბლიოთეკა, მოდელების სლაიდები, ჟურნალები და სხვა) ისევ ჩააყენებს ქართული კულტურის სამსახურში, საქართველოს ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდისა და მოდის დიზაინის ახალგაზრდა სპეციალისტთა დახელოვნების საქმეში.

ახალ საქართველოს ნამდვილად სჭირდება ახალი ქართული მოდის ცენტრი.

**P.S.**

ბატონო პრეზიდენტო!

ბატონო მინისტრებო!

ქართული მოდის ცენტრის არსებობა ასევე აუცილებელია საგანმანათლებლო და ქართული მოდის პროპაგანდის თვალსაზრისით.

ქართული მოდის ცენტრი სჭირდებათ თბილისის სამხატვრო აკადემიის მოდის დიზაინის დეპარტამენტის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს - წლების განმავლობაში მოდის მომავალი სპეციალისტები საწარმოო და სადიპლომო პრაქტიკას სწორედ "საქართველოს მოდელების სახლის" ბაზაზე გადიოდნენ, საუკეთესონი კი იქვე აგრძელებდნენ მოღვაწეობას.

თანამედროვე მოთხოვნების დონეზე აღჭურვილი სახელოსნოებისა და ლაბორატორიების არქონის მიუხედავად, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მოდის დიზაინის დეპარტამენტის კურსდამთავრებულები წარმატებით მონაწილეობენ სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსებში: მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ მოსკოვის მოდის საერთაშორისო კონკურსის გრან-პრის, სხვა პრიზების მფლობელთა სია და მათი წარმატებული მოღვაწეობა საზღვარგარეთ.

საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩატარებამ დაარწმუნა საზოგადოება უმაღლესი განათლების რეფორმის აუცილებლობაში. რეფორმა გრძელდება, მხოლოდ გასათვალისწინებელია: განათლების სამინისტროს ცნობარის მიხედვით, საქართველოს შვიდი უმაღლესი სასწავლებელი ოთხი წლის შემდეგ გამოუშვებს მოდის დიზაინის 130-ზე მეტ ბაკალავრს. სჭირდება საქართველოს მოდის 130 დიზაინერი? რას ვთავაზობთ დასასაქმებლად მომავალ სპეციალისტებს?

ქვეყანას, რომელსაც აქვს 40-ზე მეტი თეატრი და კინოცენტრი, რომლის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი 4 წლის შემდეგ 93 სპეციალისტს გამოუშვებს, არ გაუჭირდება მათი დასაქმება... მაგრამ, ქვეყანა, რომელსაც არ გააჩნია არც ერთი მოდის სახლი ან ცენტრი და 4 წლის შემდეგ 130-ზე მეტ მოდის დიზაინერს გამოუშვებს, ნამდვილად ვერ დაასაქმებს ამდენ სპეციალისტს და ისინი წინასწარ განწირულნი არიან საზღვარგარეთ სამუშაოს საძებნელად...

დაბოლოს... მოდის დიზაინის სპეციფიკაზე... თბილისის სამხატვრო აკადემიის ყველა ფაკულტეტის (სახვითი, არქიტექტურის თუ დიზაინის) სპეციალისტის ნაწარმოები გათვალისწინებულია ინტერიერის ან ექსტერიერისთვის. ამ სპეციალისტებს შორის ერთადერთი სპეციალისტი, რომელიც უშუალოდ კონკრეტული ადამიანისთვის და კონკრეტულ ადამიანზე ქმნის თავის ნაწარმოებს, მოდის დიზაინერია. ...თვით კოსტიუმის ისტორია ხომ კაცობრიობის ყოფიერების ილუსტრირებული ჟამთაღწერაა, რისი მშვენიერი მაგალითია ამ წერილის დასაწყისში აღნიშნული "კავკასიის ხალხთა კოსტიუმების" გამოფენა და კატალოგი.

მიგვაჩნია, რომ საქართველოს უნდა შევუნარჩუნოთ ქართული მოდის არსებობის 50-წლიანი ისტორია. ახალი ეპოქისა და ახალი რეალიების გათვალისწინებით, უნდა ჩამოყალიბდეს ახალი ქართული მოდის ცენტრი, რაც სახელმწიფოს მხარდაჭერის გარეშე წარმოუდგენელია.

ქართული მოდის ცენტრის შენარჩუნება ქართული კულტურის, ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდის მხარდაჭერა და მოდის დიზაინერთა და სპეციალისტთა (თუნდაც მცირე ნაწილის) დასაქმების წინაპირობა იქნება.

პატივისცემით,

ომარ სააკაშვილი,

ს.ს. "მოდების რესპუბლიკური ცენტრის" აქციონერი,

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მოდის დიზაინის დეპარტამენტის პროფესორი


**შპს "სახელმწიფო უზრუნველყოფა" აცხადებს აუქციონს**

ქ. თბილისში, ა. ყაზბეგის ქ. №42-ში მდებარე შენობის სარდაფის 682,5 კვ მ ფართობის აუქციონის ფორმით რეალიზების მიზნით

აუქციონის თაობაზე დაწვრილებითი ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ "მესაკუთრეს" 03.12.05 წ. №44 (441) (ჭანტურიას ქ. № 12, IV სართული).

**შპს "სახელმწიფო უზრუნველყოფა"**
**მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 64**
**საკონტაქტო ტელეფონი:**
**91-60-79, 899 35-55-35, 899 55-52-20**



**შპს "სახელმწიფო უზრუნველყოფა" აცხადებს აუქციონს**

ქ. თბილისში, ა. ყაზბეგის ქ. №42-ში მდებარე შენობის სარდაფის 564,8 კვ მ ფართობის აუქციონის ფორმით რეალიზების მიზნით

აუქციონის თაობაზე დაწვრილებითი ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ "მესაკუთრეს" 03.12.05 წ. №44 (441) (ჭანტურიას ქ. № 12, IV სართული).

**შპს "სახელმწიფო უზრუნველყოფა"**
**მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 64**
**საკონტაქტო ტელეფონი:**
**91-60-79, 899 35-55-35, 899 55-52-20**



PSP პსპ

გვეკითხებით? გიპასუხებთ!

ჩვენი საინფორმაციო სამსახურის ნომერზე ხშირად შემოდის ზარები შეკითხვით:

რატომ არ გააჩნია პსპ-ს აფთიაქებს ე.წ. ხარისხის ნიშანი "A"?

პსპ საინფორმაციო სამსახური გაცნობებთ, რომ "PSP - აფთიაქის" პრიორიტეტი, უდავოდ, ხარისხია, რომელსაც ჩვენი სააფთიაქო ქსელი უზრუნველყოფს GPP (კარგი სააფთიაქო პრაქტიკა) საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. ნიშანი "A" კი არ წარმოადგენს საერთაშორისო ექსპერტების ან სახელმწიფო სტრუქტურების მიერ დადგენილ ხარისხის ნიშანს. აღნიშნული ნიშანი კომპანია "ჯი-პი-სი"-ს ანუ რიგით მესამე ფარმაცევტული დისტრიბუტორის სარეკლამო კამპანიის ნაწილია.

პსპ-ს სააფთიაქო ქსელს გამოარჩევს თქვენთვის უკვე კარგად ცნობილი ნიშანი "PSP". ჩვენ ყოველდღიურად ვემსახურებით 20 000 მომხმარებელს, რომელთათვისაც ხარისხი და "PSP" იდენტური ცნებებია.

პსპ-ს საინფორმაციო სამსახური



დაამარცხე ხველა კედელიქსთან ერთად!

კედელიქსი — მთელი ოჯახისათვის!



კედელიქსი®

ბუნებისაგან თქვენ რჩევა, კედელიქსი და — არანაირი ხველა!

PSP პსპ ჩემი ოჯახის აფთიაქი

Krewel Meuselbach



**განცხადება**

საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქ.თბილისის 189-ე საჯარო სკოლის ადმინისტრაცია აცხადებს ღია კონკურსს კერძო და იურიდიულ პირთათვის სკოლის შენობაში მდებარე სასადილოს მომარაგებასა და შემდგომ მომსახურეობაზე. განცხადების მიღების საბოლოო ვადაა 2006 წლის 10 იანვარი. დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სკოლის ადმინისტრაციას.

**მისამართი: საირმის ქ.N84**
**ტელ: 38-90-44**
**38-44-29**
**893-19-56-67**

*სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი / მ.ზალდასტანიშვილი /*




# საქმე არ ითმენს!

წარმოიდგინეთ ტელეფონი, რომელშიც ორგანულადაა შერწყმული ელეგანტური დიზაინი და განსაკუთრებული ფუნქციონალურობა. ტელეფონი, რომელშიც არის ყველაფერი საიმისოდ, რომ თავდაჯერებულად იგრძნოთ თავი ბიზნესის სამყაროში. ტელეფონი ნამდვილად წარმატებული ადამიანებისათვის. Samsung X 700. ადვილი წარმოსადგენია.

- 1,3 მეგაპიქსელიანი კამერა • ფერადი TFT ეკრანი (262 144 ფერი)
- სტერეობგერა • FM რადიო • MP3/ASC პლეერი • MPEG4 ვიდეოპლეერი
- მეხსიერების ბარათი TransFlash™ • 40 ტონური პოლიფონია
- bluetooth • EDGE



X700

# Дело не ждет!

Представьте телефон, органично сочетающий элегантный дизайн и исключительную функциональность. Телефон, в котором есть все, чтобы Вы могли уверенно чувствовать себя в мире бизнеса. Телефон для действительно успешных людей. Samsung X700. Легко представить.

- 1,3-мегапиксельная камера • Цветной TFT-дисплей (262 144 цвета)
- Стереозвук • FM-радио • MP3 / AAC плеер • MPEG4 видеоплеер
- Карта памяти TransFlash™ • 40-тональная полифония
- Bluetooth • EDGE

**ელიტ ელექტრონიქსი - კომპანია სამსუნგ ელექტრონიქსის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში**

ELIT ELECTRONICS

**Elit Electronics** – официальный дистрибьютор компании Samsung Electronics в Грузии

მარჯანიშვილის ქ. №47; ტელ: (822) 94 24 72
აღმაშენებლის გამზ. №146; ტელ: (822) 96 28 67
ხიზანიშვილის ქ. №53; ტელ: (822) 35 69 95

Адреса магазинов: г. Тбилиси,
ул. Марджанишвили №47 / Тел: (822) 94 24 72
ул. Агмашенебели №146 / Тел: (822) 96 28 67
ул. Хизанишвили №53 / Тел: (822) 35 69 95

**3-წლიანი უფასო სერვისული მომსახურება**

**3 года бесплатного сервисного обслуживания.**

SAMSUNG
სამსუნგი